# ონის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ
(2017 წლის ნოემბრიდან 2018 წლის ნოემბრის ჩათვლით)

# ონის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ
# (2017 წლის ნოემბრიდან 2018 წლის ნოემბრის ჩათვლით)

**მოგესალმებით.....**

წარმოგიდგენთ ინფორმაციას ონის მუნიციპალიტეტის მერიის, მისი სტრუქტურული ერთეულების მიერ ჩემი ხელმძღვანელობის პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ. აღნიშნულთან დაკავშირებით სრულყოფილად წარმოგიდგენთ, თუ რა სამუშაოები გავწიეთ და რა სახის პროექტები განვახორციელეთ. ასევე, რა ხედვები გვაქვს ჩვენი მუნიციპალიტეტის განვითარებისა და პოტენციალის გაზრდის თვალსაზრისით. საჯარო ანგარიშის შემუშავების პროცედურები ეყრდნობა ეფექტური მმართველობის პრინციპებს, რაც გულისხმობს სტრატეგიული პრიორიტეტებისა და დასახული მიზნების მიღწევის მიზნით მუნიციპალიტეტის მერის მიერ მოქალაქეებთან მჭიდრო კონტაქტში არსებული რესურსების პასუხიმგებლობითა და ანგარიშვალდებულად გამოყენებასა და ამ საქმიანობის თანმდევი რისკების მართვას.

აღნიშნული ანგარიში შედგენილია:

- ❖ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს, მათ შორის 88-ე მუხლის-,,მუნიციპალიტეტის მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა“ შესაბამისად.
- ❖ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი-ს, მათ შორის მუხლის 28-ს მე-2 პუნქტის, მუხლი 37-ს მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად;
- ❖ მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი დადგენილების მოთხოვნის დაცვით.

ჩემი უფლება-მოვალეობებიდან გამომდინარე ანგარიში მოიცავს სავალდებულო შემდეგ საკითხებს:

- მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შედგენა;
- ინფრასტრუქტურის განვითარება;
- განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა განვითარების ხელშეწყობა;
- ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის უზრუნველყოფის ხელშეწყობა;
- სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა;
- მუნიციპალიტეტის მუშაობის საჯაროობისა და გამჭირვალობის ხელშეწყობა;

ონის მუნიციპალიტეტის მერიამ აღნიშნულ პერიოდში განახორციელა მოსახლეობის საჭიროებებზე მორგებული კულტურული, საგანმანათლებლო, სპორტული, სოციალური და ჯანდაცვის, ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამები და პროექტები.

მერიის მიზანია ქალაქის განვითარების პარალელურად ადმინისტრაციულ ერთეულებში, სოფლებში ინფრასტრუქტურის განვითარება, შესაბამისი მიკრო გარემოსა და სერვისების შექმნა.

❖ **საფინანსო - საბიუჯეტო სამსახური** - დებულებისა და კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობდა სამუშაო პროცესი. 2018 წლის ბიუჯეტში მოხდა 8 ცვლილება, ყოველთვიური, კვარტალური და წლის ანგარიშების მომზადება. მიმდინარეობდა 2019 წლის ბიუჯეტის პროექტზე მუშაობა.

2018 წლის მონაცემებით**O**ონის მუნიციპალიტეტის დაზუსტებული ბიუჯეტის შემოსულობების გეგმამ შეადგინა 6 946,2 ათ.ლარი, ნაშთი 2018 წლის 1 იანვრისათვის იყო 2 196,2

ათ.ლარი საიდანაც თერთმეტ თვეში გაიწერა 2 195,5 ათ.ლარი და მთლიანი დაზუსტებული ბიუჯეტის ცხრა თვის გეგმამ შეადგინა 9 141,7 ათ.ლარი.

**შემოსულობები:** 2018 წლის თერთმეტი თვის დაზუსტებული ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა 6 946,2 ათ.ლარი, ფაქტიურად შემოვიდა 5 002,5 ათ.ლარი (72%); - აქედან საშემოსავლო გადასახადის გეგმა 18,4 ათ.ლარი - ფაქტი 30,8 ათ.ლარი (167%); ქონების გადასახადის გეგმა 204,5 ათ.ლარი - ფაქტი 288,8 ათ.ლარი (141%); გრანტების გეგმამ (სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი) შეადგინა 6 568,3 ათ.ლარი - ფაქტი 4 520,8 ათ.ლარი (69%); სხვა შემოსავლების გეგმა სულ 144,0 ათ.ლარი - ფაქტი 134,4 ათ.ლარი (93%), მათ შორის: სხვა შემოსავლებიდან პროცენტის გეგმა 36,8 ათ.ლარი - ფაქტი 41,5 ათ.ლარი (113%); მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის გეგმა 48,0 ათ.ლარი - ფაქტი 37,7 ათ.ლარი (78%); შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან შემოვიდა 3,8 ათ.ლარი; სანებართვო მოსაკრებელის გეგმა 5,0 ათ.ლარი - ფაქტი 5,1 ათ.ლარი (102%); ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის გეგმა 9,2 ათ.ლარი - ფაქტი 6,9 ათ.ლარი (75%); ჯარიმები, სანქციები და საურავების შემოსავლების გეგმამ შეადგინა 28,0 ათ.ლარი - ფაქტი 23,9 ათ.ლარი(85%); შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების გეგმა 17,0 ათ.ლარი - ფაქტი 15,3 ათ.ლარი (90%); არაფინანსური აქტივების კლების (პრივატიზების) გეგმამ შეადგინა 11,0 ათ.ლარი - ფაქტი 27,7ათ.ლარი (422%, დანართი N2).

**გადასახდელები:** ონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის თერთმეტი თვის დაზუსტებული ბიუჯეტის გადასახდელების გეგმამ შეადგინა 9 141,7 ათ.ლარი და ფაქტიურად გაიხარჯა 6 402,3 ათ.ლარი (70%) აქედან:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების (წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები) დაზუსტებულმა გეგმამ შადგინა 1 497,2 ათ.ლარი - ფაქტი 1 411,0 ათ.ლარი (94%);

სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის გეგმა 59,0 ათ.ლარი - ფაქტი 57,5 ათ.ლარი (97%);

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის გეგმა 6 760,7 ათ.ლარი - ფაქტი 4 172,0 ათ.ლარი (62%); აქედან:

- საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა შენახვის ხარჯების გეგმა 3 671,9 ათ.ლარი - ფაქტი 2 367,6 ათ.ლარი (64%);

- გარე განათების მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის ხარჯების გეგმა 202,6 ათ.ლარი - ფაქტი 172,2 ათ.ლარი (73%);

- დასუფთავების ღონისძიებების ხარჯის გეგმა 252,8 ათ.ლარი - ფაქტი 241,5 ათ.ლარი (96%);

- საკანალიზაციო სისტემის მოწყობა, ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობა და რეაბილიტაციის ხარჯის გეგმა 1 589,1 ათ.ლარი - ფაქტი 677,0 ათ.ლარი (43%);

- წყლის სისტემის რეაბილიტაციის ხარჯის გეგმა 154,2 ათ.ლარი - ფაქტი 59,6 ათ.ლარი (39%);

- კეთილმოწყობის ღონისძიებების ხარჯის გეგმა 861,7 ათ.ლარი - ფაქტი 626,5 ათ.ლარი (73%);

- ა(ა)იპ გამწვანების სამსახურის ხარჯების გეგმა 28,5 ათ.ლარი - ფაქტი 27,5 ათ.ლარი (96%);

განათლება: სკოლამდელი განათლება ბაგა-ბაღების დაფინანსების გეგმა 142,6 ათ.ლარი - ფაქტი 127,6 ათ.ლარი (90%);

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების დაფინანსების გეგმა 493,6 ათ.ლარი - ფაქტი 469,9 ათ.ლარი (95%) აქედან:

- სპორტის განვითარების ხელშეწყობის გეგმა 126,5 ათ.ლარი - ფაქტი 116,7 ათ.ლარი (92%);

- კულტურის განვითარების ხელშეწყობის გეგმა 367,1 ათ.ლარი - ფაქტი 353,2 ათ.ლარი (96%);

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის გეგმა 156,9 ათ.ლარი - ფაქტი 134,3 ათ.ლარი (86%).

2017 წელს დაიწყო და 2018 წელს დასრულდა ქ.ონში სპორტული კომპლექსის შენობის რეკონსტრუქცია რეაბილიტაციის სამუშაო, რომელზეც მიმდინარე წელს გაიხარჯა 448,2 ათ.ლარი; სოფ.ღარში კანალიზაციის ქსელის მოწყობაზე 324,8 ათ.ლარი. ასევე 2017 წლის 20 მაისს მომხდარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ გაიხარჯა 1292,1 ათ.ლარი, კერძოდ: სოფ. ღარში და ნიგვზნარაში ნაპირსამაგრი გაბიონის მოწყობის სამუშაოზე, სოფ. ნაკიეთში მდ.რიონის მარჯვენა სანაპიროზე, სოფ. შარდომეთში მარცხენა სანაპიროზე და სოფ. უწერაში მინერალური წყალ ნაპერწკალასთან გაბიონის მოწყობის სამუშაოზე, ქ.ონში სნიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოზე, სოფლებში ჭიბრევი, ბაჯიხევში, ონჭევში, პიპილეთში, ჟაშქვაში, სხანარში, ქვედში, ცხმორში, წედისში, კვაშხიეთში, ზუდალში, ხეითში, ზვარეთში, შრომისუბანში, ფარახეთში, სევაში, სორში, სომიწოში, ბარში, მრავალძალში, კომანდელში, სხიერში, უწერაში, ქორთაში, ქრისტესში, შქმერში, წმენდაურში და ხირხონისში გზების რეაბილიტაციაზე, შესრულდა სოფ. ღარში ნაპირსამაგრი სამუშაო და სოფ. ღარში ეკლესისთან არსებული სანიაღვრე არხის მოწყობა/რეაბილიტაცია, ქ.ონში ბაბზოვისა და გურამიშვილის ქუჩაზე ახალმოწყობილი სანიაღვრე არხის გადახურვისა და კერძო ნაკვეთებიდან გამოსული გრუნტის წყლების დაერთების სამუშაოზე, სოფ. ღარში მდ.ღარულაზე საფეხმავლო ბოგირის მოწყობის სამუშაოებზე.

წინა წლებში დაიწყო და მიმდინარეობს სოფ. ბარი მრავალძალის მისასვლელი გზის მოწყობის სამუშაო, რომელზედაც გახარჯული იქნა 1080,7 ათ.ლარი. გაიხარჯა სოფელ ღარის შიდა გზების ასფალტირებაზე 669,8 ათ.ლარი და სოფ შარდომეთში მდ.რიონზე კალაპოტის წმენდისა და ნაპირსამაგრი გაბიონის მოწყობის სამუშაოზე 186,7 ათ.ლარი.

მიმდინარეობს სოფ. უწერაში მინერალური წყლის „ნაპერწკალა“-ს კეთილმოწყობის სამუშაო, რომელზეც გაიცა 15,4 ათ.ლარი და სოფ. ჭალაში მინერალური წყლის „ჭალის წყალი“-ს კეთილმოწყობის სამუშაოზე 28,6 ათ.ლარი.

საკუთარი თანხებით შესრულდა ადგილობრივი მნიშვნელობი გზების თოვლისაგან და მეწყრისაგან წმენდის სამუშაოები, სოფ. პატარა ღებში, წოლაში, ჯინჭვისში, გომში და გლოლაში შიდა გზის სარეაბილიტაციო სამუშაოზე გაიხარჯა 63,5 ათ.ლარი; სოფ. სევაში, ქვედა სევაში, ახალ ჩორდში, შარდომეთში, ღებში, ბარში, ხიდეშლებში და გადამში წყალსადენის ქსელის სარებილიტაციო სამუშაოზე 56,7 ათ.ლარი და სოფ.სორში დაზიანებული წყალსაქაჩი ტუმბოს ექსპლუატაციის მომსახურება 2,5 ათ.ლარი; სოფ. კვაშხიეთი, ფარახეთი, ჯინჭვისი, საკაო, ხედეშლები, მაჟიეთი, ღარი და შეუბნისათვის წყლის სისტემის მილების, გადამყვანების და მექანიკური ქუროების შეძენაზე 5,6 ათ.ლარი; საინჟინრო საამშენებლო ტექნიკური საზედამხედველო მომსახურებაზე გაიხარჯა 230,5 ათ.ლარი; სოფ.ბარში მდ.ბარულაზე არსებული ხიდის რეაბილიტაციაზე 11,1 ათ.ლარი; სოფ.ჭიორაში, ჯინჭვისში, ქვედსა და ქვედრულაზე გარე განათების მოწყობის სამუშაოზე გაიხარჯა 24,9 ათ.ლარი და ახალი ლამპიონების შეძენა-მონტაჟზე 23,8 ათ.ლარი; სოფ. სორგითში შესრულდა წყაროს კეთილმოწყობის სამუშაოები თანხით 14,5 ათ.ლარი; სოფ.პიპილეთის ქვედა უბანში, სოფ. წმენდაურში, ქ.ონში ქაფიანიძის ქუჩის ასახვევში, ქ.ონში არტუანის უბანში, ყოფილი რესტორნის შენობიდან სადგურამდე სანიაღვრე არხის მოწყობა რეაბილიტაცია 46,6 ათ.ლარი; ქალაქ ონის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე არხების წმენდის სამუშაოებზე 16,9 ათ.ლარი; სოფ. დიდ ღებში საროკავას უბნისათვის სანიაღვრე მილების შეძენა 2,3 ათ.ლარი, სოფ.უწერაში; სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა საექსპერტო მომსახურებაზე კერძოდ, ქალაქ ონის საზოგადოებრივი დანიშნულების სივრცეების კეთილმოწყობისათვის, სოფ. უწერაში (ჟამიერეთის უბანი), შარდომეთში და სორში მდ. რიონზე კალაპოტის წმენდის და ნაპირსამაგრი სამუშაოების ქ.ონში აგრალური ბაზრის მოწყობის და ყოფილი სავადმყოფოს შენობის, მიმდებარე ტერიტორიის სარეკონსტრუქციო სარეაბილიტაციო სამუშაოების, გზები, ნაპირსამაგრის გახარჯულია 151,1 ათ.ლარი; საზღვრის აღმნიშვნელი ბანერების რეაბილიატაციისა და სკვერის შემოღობვის სამუშაოზე 8,7 ათ.ლარი; მიმდინარეობს

სოფელ პიპილეთში ადმინისტრაციული შენობის მშენებლობის სამუშაოები, რაზედაც დღეის მდგომარეობით გახარჯულია 28,7 ათ.ლარი; სოფ. შქმერში ეკლესიის სარეაბილიტაციო სამუშაოზე გაიხარჯა 38,4 ათ.ლარი.

**სარეზევო ფონდიდან** დაფინანსდა სოფელ პატარა ღებში, თევრეშოსა და გონის მიმართულბით მიმავალ გზაზე 2018 წლის 24 აპრილს ჩამოსული კლდე-ზვავის წმენდის სამუშაო, სტიქიის შედეგად ადიდებული მდ.ღარულის, გომბროლისა და ქვედრულის დატბორვის საწინააღმდეგო სამუშაო, სოფ. ფსორსა და ბაჯიხევში სტიქიის შედეგად დაზიანებული გზის სარეაბილიტაციო სამუშაი, სოფ.ღებში დაზიანებული ხიდის და ნაპირსამაგრის სარეაბილიტაციო სამუშაო, სოფ.ღებში თევრეშო-ბრილის მიმართულებით მეწყრული მოვლენების გააქტიურების შედეგად ჩაკეტილი გზების და მდინარე ლათქიშორას კალაპოტის წმენდის სამუშაო, სულ სარეზერვო ფონდიდან გახარჯულია 21,7 ათ.ლარი.

❖ **შესყიდვების სამსახურის** მიერ 2017 წლის 1 ნოემბრიდან მიმდინარე წლის 1 დეკემბრამდე, წინასწარ განსაზღვრული შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად განხორციელდა რამდენიმე სახის 180 შესყიდვა, მათ შორის: 90 ელექტრონული ტენდერის საშუალებით, 1 კონკურსის წესით, 9-კონსოლიდირებული და 80 გამარტივებული სახით. სულ გაფორმდა 144 ხელშეკრულება მომსახურებასა და სამუშაოებზე ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებით. კერძოდ, ცენტრალური ბიუჯეტიდან და წილობრივად ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებით **დასრულდა:**

- სოფელ ღარის შიდა გზების ასფალტირება;
- შარდომეთში მდ. რიონის კალაპოტის წმენდა და ნაპირსამაგრი გაბიონის მოწყობა;
- ჭიბრევში მისასავლელი გზის მშენებლობის სამუშაოები;
-სოფლებში: ლაგვანთა, ღარი, ნიგვზნარა, ნაკიეთი, შარდომეთსა და უწერაში ნაპირსამაგრი გაბიონის მოწყობა;
- ქ. ონში და სოფ. სორში სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები;
- სომიწოში, ბაჯიხევში, ონჭევში, პიპილეთში, ჟაშქვაში, სხანარში, ქვედში, ცხმორში და წედისში გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- კვაშხიეთში, ზუდალში, ხეითში, ზვარეთში, შრომისუბანში, ფარახეთში, სევაში, სორში, ბარში, მრავალძალში, კომანდელში, სხიერში, უწერაში, ქორთაში, ქრისტესში, შქმერში, წმენდაურსა და ხირხონისში გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- სოფელ ღარში ეკლესიასთან არსებული სანიაღვრე არხის მოწყობა-რეაბილიტაცია;
- ქ. ონში ბააზოვის და გურამიშვილის ქუჩებზე ახლმოწყობილი სანიაღვრე არხის გადახურვის სამუშაოები;
- სოფელ ღარში მდ. ღარულაზე საფეხმავლო ბოგირების მოწყობის სამუშაოები;

ძლიერი წვიმების შედეგად დაზიანებული ადგილობრივი გზების, ხიდების, ნაპირსამაგრი ნაგებობების და სანიაღვრე არხების აღდგენითი სამუშაოები;

დასრულდა 2019 წელს განსახორციელებელი ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნაპირდამცავი ან/და ნაპირსამაგრი ნაგებობების სახიდე გადასასვლელების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის, ასევე სტიქიური და სხვა ფორსმაჟორული მოვლენების შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენისთვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება;

- ჯინჭვისსა და გომში გზის რეაბილიტაცია;
- სოფელ გლოლაში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია;

ადგილობრივი ბიუჯეტის თანხებით ზამთრის პერიოდში რეგულარულად ხდებოდა გზების თოვლისაგან და მეწყრისაგან ჩამონაშალის წმენდის სამუშაოები;

დასრულებულ იქნა სოფელ სორში დაზიანებული წყალსაქაჩი ტუმბოს ექსპლოატაციის მომსახურება;

მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან მაწანწალა ძაღლების იზოლაცია და გაყვანა;

სოფელ წოლაში გზაზე ბეტონის კედლის მოწყობა და გზის რეაბილიტაცია;

შემეცნებითი და გასართობი ღონისძიებების ხელშეწყობა;

**რეაბილიტაცია დასრულდა:**

- სოფელ ბარში მდინარე ბარულაზე არსებული ხიდის;
- სოფელ სევაში და სოფელ ქვედში წყლის სისტემის;
- სოფელ გადამში წყალშემკრების და ქსელის მოწყობის სამუშაოები;
- სოფელ ღებში წყლის სისტემის.
- სოფელ ხიდეშლებში თანდილას წყალზე სასმელი წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოები; სორგითში წყაროს მოწყობის სამუშაოები;
- სოფელ ჭიორაში, ჯინჭვისში, ქვედსა და ქვედრულაზე გრე განათების მოწყობის სამუშაოები;
- გარე განათებისთვის მოწყობილობების შესყიდვა და ლამპიონების მონტაჟი;
- სოფელ პიპილეთის ქვედა უბანში, ქ. ონის ქაფიანიძის ქუჩაზე, არტუანის უბანში,მდ. რიონის მარცხენა სანაპიროზე სანიაღვრე არხის მოწყობა-რეაბილიტაცია;
- სოფელ წმენდაურში სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია;
- ქ. ონის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე არხების წმენდის სამუშაოები;
- სოფელ დიდ ღებში სანიაღვრე მილების შეძენა;
- ქ.ონის საზოგადოებრივი განვითარების სივრცეების კეთილმოწყობისთვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების შესყიდვა;
- სოფელ უწერაში, შარდომეთსა და სორში მდ. რიონის კალაპოტის წმენდის და ნაპირსამაგრი სამუშაოების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის და საექსპერტო მომსახურება;
- ქ. ონში სსიპ ,,საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების“ ცენტრის სამშენებლო მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევითი მომსახურეობა;
- ქ. ონში აგრარული ბაზრის მოწყობის და ყოფილი საავადმყოფოს შენობის მიმდებარე ტერიტორიის - სარეკონსტრუქციო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო შესყიდვა;
- ზოგადი ხედვის კამერების შესყიდვა თანმდევი მომსახურებით და აღჭურვილობით;
- საზღვრის აღმნიშვნელი ბანერის რეაბილიტაცია და ქ. ონში დემეტრე II-ის მოედანზე სკვერის შემოღობვის სამუშაოები;
- ქ. ონში გიგა ჯაფარიძის სახელობის ბულვარის შემოღობვის და შეკეთების სამუშაოები;
- სოფელ შქმერში წმ. ელისე წინასწარმეტყველის სახელობის ეკლესიის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- მზის ფოტო ელექტრონული სისტემის ელექტროობის შემკრები მოწყობილობის ერთი აკუმულატორის შეძენა.

**მიმდინარე სამუშაოებია:**

- დასუფთავების ღონისძიება;
- გარე განათების მომსახურება;
- ქ. ონსა და მუნიციპალიტეტის სოფლებში წყალმომარაგების სისტემის ექსპლოატაციის მომსახურება;
- ბარი-მრავალძლის გზის ასფალტირების სამუშაოების II და III ეტაპი;
- ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მიმდინარე და პერიოდული სამუშაოები;
- სოფელ სევაში ,,ლუაღრმა“ წყაროს სათავეზე წყალშემკრების და ქსელის მოწყობის დარჩენილი სამუშაოები;

- საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება 2018-2019 წლებში;
- სოფელ პიპილეთში ადმინისტრაციული შენობის მშენებლობის სამუშაოები;
- ქ. ონში აღმაშენებლის ქ. N40 მდებარე შენობაში ინტერნეტქსელის სამუშაოები;
- სოფელ ფარახეთში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია;
- სოფელ სევაში ნადირაშვილების უბანში ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის რეაბილიტაციის სამუშაოები;
- სოფელ უწერაში მინერალური წყლის ,,ნაპერწკალას" და ჭალაში ,,ჭალის წყლის" კეთილმოწყობა.

სარეზერვო ფონდიდან შესრულდა სტიქიის შედეგად მოყენებული ზარალის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

❖ **სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის** მიერ 2017 ნოემბრის თვიდან 2018 წლის ნოემბრის ჩათვლით ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი დაიგეგმა და განხორციელდა. მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული ყველა პროექტი პირდაპირ პროპორციულად არის მიმართული ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებზე და მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებაზე.

**2017 წელს დასრულდა ნაპირსამაგრების მოწყობა:**

- სოფელ ლაგვანთაში ნაპირსამაგრი გაბიონის მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით - 78295,72 ლარი.
- სოფელ ღარში და ნიგვზნარაში ნაპირსამაგრი გაბიონის მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით-116599,48 ლარი.
- ქ. ონში მდ. რიონის კალაპოტის ფორმირება და ნაპირსამაგრის მოწყობა, ღირებულებით-577 262 ლარი.
- სოფელ ნაკიეთში მდ. რიონის მარცხენა სანაპიროზე და სოფელ შარდომეთში ნაპირსამაგრი გაბიონის და სოფელ უწერაში მინ. წყალ „ნაპერწკალასთან" ნაპირსამაგრი გაბიონის მოწყობა, ღირებულებით - 124 019,71 ლარი.

**შენობა-ნაგებობები:**

- ქ. ონში აღმაშენებლის N 52-ში მდებარე შენობის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის სამუშაოები, ღირებულებით - 772 559 ლარი.

**წყლის სისტემის რეაბილიტაცია;**

- სოფელ უწერაში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია, ღირებულებით -157 215 ლარი.

**2018 წელს დასრულდა:**

- ქ. ონში და სოფელ სორში სანიაღვრე სისტემების მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით - 66 470 ლარი;
- სოფელ ღარში საკანალიზაციო ქსელის მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით - 241 997 ლარი;
- სოფელ ღარში 1,8კმ გზის მონაკვეთი, ღირებულებით-800 000ლარი;
- ბარი-მრავალძლის მიმართულებით 4კმ გზის მონაკვეთი (II რიგის სამუშაოები), ღირებულებით 1 400 000 ლარი;
- შპს „ვი-აი-პი +" ის მიერ მუნიციპალიტეტის სოფლებში სტიქიის შედეგად დაზიანებულ მისასვლელ და შიდა საუბნო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით - 368 224 ლარი;
- სოფელ (პატარა) ღებში შიდა საუბნო გზა, ღირებულებით - 23835 ლარი;
- სოფელ სომიწოში მისასვლელი და შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია - 39858 ლარი;

ნაპირსამაგრის, სახიდე გადასასვლელებისა და სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები:

- სოფელ ღარში მდინარე ღარულაზე საფეხმავლო ბოგირების მოწყობა, ღირებულებით - 58 998 ლარი;

- სოფელ ბარში, მდინარე ბარულაზე არსებული ხიდის რეაბილიტაცია, ღირებულებით -12 840 ლარი;
- სოფელ ღარში ეკლესიასთან და ქალაქ ონში ბააზოვისა და გურამიშვილის ქუჩებზე სანიაღვრე არხების მოწყობა, ღირებულებით - 31 943 ლარი;
- სოფელ ღარში მდინარე ღარულაზე ნაპირსამაგრი გაბიონის მოწყობის სამუშაოები, სამუშაოების ღირებულება შეადგენს 173 483 ლარს. (შემსრულებელი -„ა.ლ.მ. ევროტექნიქსი“);
- სოფელ შარდომეთში ნაპირსამაგრი გაბიონის მოწყობა და მდ. რიონის კალაპოტის ფორმირება - 191 465 ლარი.

**შენობა-ნაგებობები:**

- ქ. ონში ბეერ-შევას სახელობის სკვერში მდებარე სპორტული კომპლექსის შენობის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის სამუშაოები, რომლის ღირებულება შეადგენს 740 000 ლარს;
- სოფელ პიპილეთში ადმინისტრაციული შენობის მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით- 50 848 ლარი.

განხორციელებული სამუშაოების ჯამური ღირებულებაა დაახ. **4 199 961** ლარი.

**ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული სამუშაოები:**

**გრუნტის გზის სარემონტო სამუშაოები:**

- მისასვლელი და შიდა სასოფლო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები შემდეგ სოფლებში: ჯინჭვისი, გომი და გლოლა, საერთო ღირებულებით -29326 ლარი;
- სოფელ წოლაში გზაზე ბეტონის კედლის მოწყობა და შიდა გზების რეაბილიტაცია, ღირებულებით - 11825 ლარი;

**წყლის სისტემების მოწყობა/რეაბილიტაცია:**

- სოფელ სევაში წყაროს სათავეზე წყალშემკრებისა და წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით - 5148 ლარი;
- სოფელ ხიდეშლებში „თანდილას წყალზე“ სასმელი წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით -9757 ლარი;
- სოფელ გადამში წყალშემკრების ქსელის მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით - 13853 ლარი;
- სოფელ ღებში წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით - 13246 ლარი;
- სოფელ სორგითში წყაროს კეთილმოწყობის სამუშაოები, ღირებულებით - 14936 ლარი;

**გარე განათების მოწყობა:**

- სოფელ ჭიორაში, ჯინჭვისში, ქვედსა და ქვედრულაზე გარე განათების მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით - 25715 ლარი;

**სანიაღვრე არხების მოწყობა/რეაბილიტაცია:**

- ქ. ონში მდინარე რიონს მარცხენა სანაპიროზე ყოფილი რესტორნის შენობიდან სადგურამდე და სოფელ პიპილეთში სანიაღვრე არხების მოწყობა- რეაბილიტაცია, ღირებულებით - 41644 ლარი;

**კეთილმოწყობის სამუშაოები:**

- ქ. ონში გიგა ჯაფარიძის სახელობის ბულვარის შემოღობვის სამუშაოები, ღირებულებით - 1200 ლარი;
- ონის მუნიციპალიტეტის საზღვრის აღმნიშვნელი ბანერისა და ქ. ონში დემეტრე მეორის მოედანზე სკვერის შემოღობვის სამუშაოები, ღირებულებით - 7522 ლარი;
- სოფელ შქმერში წმინდა ელისე წინასწარმეტყველის სახელობის ეკლესიის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით - 38415 ლარი;

შესრულებული სამუშაოების ღირებულება შეადგენს დაახ. 212587 ლარს.

**მიმდინარე სამუშაოები:**

- ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე „ჭალის“ა და „ნაპერწკალა“ ს მინერალური წყლების მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობის სამუშაოები, ღირებულებით - 136339 ლარი (შესრულება დაახ.50%);
- სოფ. სევაში ნადირაშვილების უბანში ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების რეაბილიტაცია, ღირებულებით - 19758 ლარი (შესრულება დაახ.55%);
- ბარი-მრავალძლის გზის ასფალტირების მე-3 ეტაპის სამუშაოები, ღირებულებით -300 000 ლარი (შესრულება დაახ.20%);
- სოფელ ფარახეთში მისასვლელი გზის რეაბილიტაციის სამუშაოები, ღირებულებით - 177176 ლარი (შესრულება დაახ.55%)
- დასასრულს მიუახლოვდა სოფელ ღებში მდინარე რიონის კალაპოტის წმენდისა და ნაპირსამაგრი გაბიონის მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით-352 788 ლარი (შესრულება დაახ.95%).

**საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვა:**

- დასრულდა ქ. ონში ყოფილი აგრარული ბაზრის კეთილმოწყობისა და ყოფილი საავადმყოფოს შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება სამუშაოების ღირებულება შეადგენს: აგრ. ბაზარი 561 557 ლარი. ყოფ. საავადმყოფო 3 447 788 მლ. ლარი.
- დასრულდა იერსახის გაუმჯობესების მიზნით შიდა ქუჩების კეთილმოწყობის (სკვერები, საფეხმავლო ბილიკები, ბორდიურები, მესერები, გადახურვები, განათებები, გამწვანების ზოლები) სამუშაოებზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, ღირებულებით - 6 116 106 მლ. ლარი.

**2018-2019 წელს ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით დამატებით იგეგმება შემდეგი სამუშაოების განხორციელება:**

- სოფელ ირში მდინარე ჯეჯორზე გადასასვლელი ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით -209349 ლარი. (გამოცხადებულია ტენდერი)
- სოფელ სორსა და სოფელ უწარაში (ჟამიერეთის უბანი) მდ. რიონზე ნაპირსამაგრისა და მდ. კალაპოტის ფორმირების სამუშაოებზე, ღირებულებით 831 479 ლარი. (გამოცხადებულია ტენდერი საავტომობილო დეპარტამენტის მიერ)
- სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოები (ნაპირსამაგრების მოწყობა, მდინარის კალაპოტის ფორმირება, დაზანებული ხიდებისა და გზის რეაბილიტაცია)- სოფლებში ღარში, გომი - ჯინჭვისი, ჭალასა და ქვედრულაში, ღირებულებით 970 000 ლარი (გამოცხადებულია ტენდერი)
- გუფთა ონის სახელმწიფო გზის სოფელ ირის 10კმ მონაკვეთის რეაბილიტაცია (გამოცხადებულია ტენდერი), ღირებულებით - 6 781 339 ლარი;
- პიპილეთი ცხმორი, ფსორი ბაჯიხევის მიმართულებით ბეტონის გზის მოწყობა 8 კმ. სამუშაოების ღირებულებაა 6 436 460 მლ. ლარი. (საავტომობილო გზების დეპარტამენტი)
- სოფელ შარდომეთის მიმართულებით ასფალტო ბეტონის საფარის მოწყობა 1,8 კმ.
- სოფელ სევა- ფარახეთის მიმართულებით გზის რეაბილიტაცია;
- სოფელ ირში ყოფილი ფოსტის შენობის რეაბილიტაცია;
- სოფელ ირში ყოფილი სპორტული მოედნის რეაბილიტაცია;
- სოფელ ირში ყოფილი ღია საცურაო აუზის რეაბილიტაცია;
-

❖ **ონის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურმა** ფუნქციონირება დაიწყო 2018 წლის 01 მაისიდან. სამსახური ახორციელებს დებულებით გათვალისწინებული მოვალეობების შესრულებას, კერძოდ:

ტექნიკური ზედამხედველობა გაეწია ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებულ, მუნიციპალიტეტში განხორციელებულ 22 ინფრასტრუქტურულ პროექტს, რომელთა სახელშეკრულებო ღირებულება 50 000 ლარზე ნაკლებია, ეს პროექტებია:

- პატარა ღებში სტიქიისაგან დაზიანებული გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- სოფელ სომიწოში გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- სოფელ ბარში მდინარე ბარულაზე არსებული ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ონში და ღარში სანიაღვრე არხების მოწყობა-გადახურვის სამუშაოები;
- თევრეშოს და გონის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ქ. ონის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე არხების წმენდის სამუშაოები;
- სოფელ გადამშში წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოები;
- ქ. ონში და სოფელ პიპილეთში სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები;
- სოფელ სევასა და სოფელ ქვედში სასმელი წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოები;
- სოფელ შქმერში წმინდა ელისე წინასწარმეტყველის სახელობის ეკლესიის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ონი-ამბროლაურის მუნიციპალიტეტების საზღვრის აღმნიშვნელი ბანერის რეაბილიტაციისა და ქ. ონში დემეტრე მეორეს მოედანზე სკვერის შემოღობვის და გიგა ჯაფარიძის სახელობის ბულვარის ღობის შეკეთების სამუშაოები;
- ონის მუნიციპალიტეტის სოფელ წოლაში მისასვლელი და შიდა სასოფლო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, სოფელ წმენდაურში სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები;
- ონის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მიმდინარე და პერიოდული შეკეთების სამუშაოები;
- ონის მუნიციპალიტეტის სოფელ სორგითის წყაროს ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები;
- ონის მუნიციპალიტეტის სოფლებში: ჭიორაში, ჯინჭვისში, ქვედსა და ქვედრულაში გარე განათების მოწყობის სამუშაოები;
- სოფლებისათვის წყალსადენის მილების შესყიდვა;
- ონის მუნიციპალიტეტის სოფელ გომსა და ჯინჭვისში მისასვლელი გზისა და სოფელ გლოლაში შიდა საუბნო გზების ("გორი ბოლო") სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- დიდ ღებში წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ქ.ონში ბულვარში, აღმაშენებლის სკვერში , რიონის და ჭალულას ხიდებზე განათების სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- სოფელ ხიდეშლებში "თანდილას წყალზე" სასმელი წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოები;
- სოფელ სევაში ნადირაშვილების უბნის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

ამ პერიოდის განმავლობაში მოხდა სოფელ სევაში წყალსადენის სამუშაოების გამიჯვნა (ინდ. მეწარმე „დავით ქვათაძე“-სთან გაფორმებული ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ);დადგინდა შესრულებული და შესასრულებელი სამუშაოების მოცულობები და შედგა შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა; სამსახურის მიერ მოქალაქეების წერილობითი გაფრთხილების შედეგად მოწესრიგდა:

- ქ. ონში დავით აღმაშენებლის ქუჩაზე მარინა ჯელაძის კუთვნილი შენობის ფასადი;
- საქართველოს ბანკის კუთვნილი ტერიტორია;
- საქართველოს ფოსტის ფილიალის ტერიტორია;

აღდგა სიმონ სხირტლაძის ქუჩაზე, ლია ბუგიანიშვილის სახლის წინ გადაჭრილი ასფალტი,მოხდა ქაფიანიძის ქუჩაზე მდებარე სასტუმრო „რაჭა“-ს აივნების დაზიანებული ნაწილების დემონტაჟი;

მოხდა ვახტანგ VI-ს ქუჩაზე N 5-ში ავარიული შენობის მე-2 სართულის დემონტაჟი.
მოხდა დავით აღმაშენებლისა და დემეტრე II-ს მოედნებზე უსახური ჯიხურების დემონტაჟი.

შპს “ზ.მ.“-მ გაიტანა მუნიციპალიტეტის კუთვნილ ტერიტორიაზე უკანონოდ განთავსებული თაბაშირის მადანი.

შეკეთდა ქ. ონის შემოსასვლელში, ჭალულას ხიდთან, ქრისტეფორე ჩიხრაძის კუთვნილი ობიექტის ღობე.

მოხდა კურორტ შოვში უკანონოდ მოწყობილი ღობის დემონტაჟი.

ქ. ონში 11 ლოკაციაზე მოხდა ტროტუარზე განლაგებული სამშენებლო მასალების გატანა.

შეჩერდა ქ. ონში დემეტრე II-ს მოედანზე ავტოგასამართი სადგურის სარეკონსტრუქციო სამუშაოები.

სოფელ ღარში მეღორეობის ფერმის უნებართვო მშენებლობისთვის დაჯარიმდა მესაკუთრე.

ქ. ონში თავიანთი კუთვნილი ტერიტორიის მოუვლელობისთვის დაჯარიმდა 3(სამი) მოქალაქე.

ქალაქში სისუფთავისა და მწვანე ნარგავების დაცვის მიზნით მიმდინარეობს ყოველდღიური მუშაობა, პირუტყვის ყოლის წესების დარღვევისათვის დაჯარიმდა 23 (ოცდასამი) მოქალაქე.

ქ. ონში დავით აღმაშენებლისა და დემეტრე 2-ის მოედანზე, ასევე დავით აღმაშენებლისა და ვახტანგ 6-ის ქუჩებზე აიკრძალა გარე ვაჭრობა, რამდენიმე გარე მოვაჭრე გაყვანილი იქნა ზემოთ აღნიშნული ტერიტორიიდან. ჯარიმების გადაუხდელობის გამო აღსრულების ეროვნულ ბიუროს გადაეცა 3 (სამი) მოქალაქის საქმე.

სამსახური მონაწილეობას იღებს მუნიციპალიტეტის მერიის კომისიების მუშაობაში კერძოდ: სატენდერო კომისია, მიწის აღიარების კომისია, შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციაში მიმღები კომისია.

❖ **ეკონომიკის სამსახურმა,** მისი დებულებიდან გამომდინარე, ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვის, სტატისტიკისა და ტურიზმის მიმართულებით საანგარიშო პერიოდში შეასრულა შემდეგი სამუშაოები:

<u>ეკონომიკური განვითარება</u> - მოცემული მიმართულებით სამსახური ძირითადად შემოიფარგლება მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიის შემუშავებასა და შემდგომ მოცემული სტრატეგიის განსახორციელებლად დაგეგმილი პროექტების ორგანიზებით საწყის ეტაპზე. იგულისხმება აქ ტენდერების ორგანიზება ადგილობრივი თუ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების განკარგვის მიზნით. მიმდინარე წელს საერთო ჯამში გამოცხადებულია 79 ტენდერ, აქედან 41 შესყიდვაზე გაფორმდა ხელშეკრულება, 21 არ შედგა, 4 დასრულდა უარყოფითი შედეგით, ხოლო 5 მიმდინარე ტენდერია, სულ ტენდერის შედეგად დადებული ხელშეკრულებების ღირებულებამ, რომელზედაც გამოცხადდა ტენდერი შეადგინა 3 737 688 ლარი. ეკონომია ტენდერის შედეგად მიღებული სახსრებისა შეადგენს 370 537ლარს.

სამსახური აქტიურად თანამშრომლობს და ახორციელებს მხარდაჭერას პროექტებისა, რომლებიც ინიცირებულია საქართველოს მთავრობის მიერ მუნიციპალიტეტში ეკონომიკური განვითარების მიზნით. იქნება ეს ინფორმაციის დამუშავება და მიწოდება, ტერიტორიების გამოყოფა და სხვა საკითხები, რაც მუნიციპალიტეტის კომპეტენციის ფარგლებშია. ეს არის პროექტები, რომელიც ხორციელდება მუნიციპალიტეტის გაზიფიცირების, ადგილობრივი თუ სახელმწიფო მნიშვნელობის გზების ასფალტირების, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით.

სისტემატიურად ხორციელდება ონის მუნიციპალიტეტში შემოსული ინვესტიციების (როგორც კერძო, ასევე სახელმწიფი) მონიტორინგი. მიმდინარე წელს ონის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტით განხორციელებული ინვესტიციების პორტფელის მოცულობამ საერთო ჯამში შეადგინა 48 710 472 ლარი, აქედან:

- სახელმწიფო ბიუჯეტის (რეგ ფონდი) დაფინანსებაზე მოდის - 4 980 586ლ -10,22%;
- ადგილობრივი დაფინანსებით გამოიყო - 1 242 119 ლ - 2,55%;
- ცალკეული განკარგულებებით - 335 159 ლ - 0,6%;
- საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაფინანსებით - 42 152 608ლ - 86,5%;

ზემოთ აღნიშნული სახსრების ხარჯვა მიმდინარეობს შემდეგი მიმართულებით:
- სასმელი წყლის სისტემების მოწყობა - 101484 ლარი;
- საკანალიზაციო სისტემების მოწყობა - 396961ლარი;
- სანიაღვრე არხების მოწყობა - 171410 ლარი;
- ნაპირსამაგრების მოწყობა - 1 805 306 ლარი;
- გზების მშენებლობა - 44 393 316 ლარი;
- ხიდების მშენებლობა - 239 372 ლარი;
- გარე განათების სისტემების მოწყობა - 75 955 ლარი;
- სპორტული დარბაზებისა და ობიექტების მშენებლობა - 746 703 ლარი;
- სხვა სამუშაოები - 988 129 ლარი;

სასარგებლო წიაღის მოპოვებასთან დაკავშირებით წიაღის ეროვნული სააგენტოდან შემოსულია 19 კორესპონდენცია, აქედან 11 შემთხვევაში მუნიციპალიტეტის მერიამ მიზანშეწონილად ჩათვალა და დაეთანხმა ლიცენზიის გაცემის საკითხს, ხოლო 8 შემთხვევაში დააფიქსირა უარყოფითი პოზიცია.
სამსახურის უფროსი ორი თანამშრომლით ჩართულია ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების მუდმივმოქმედი კომისიის მუშაობაში. აღნიშნული მიმართულებით შემოსულია და დამუშავებულია 883 კორესპონდენცია, აქედან: გაიცა ----222----- საკუთრების მოწმობა, უარი ეთქვა --145-- მოქალაქეს, მიმდინარეობს საქმის წარმოება.
სამსახური აქტიურად არის ჩართული ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავებასა და გარემოსდაცვითი აქტივობების დაგეგმვის პროცესებში.
გარდა ამისა, სამსახურს ეკონომიკის განხრით დარეგისტრირებულია 76 კორესპონდენცია, რაზედაც განხორციელდა შესაბამისი რეაგირება.
<u>ქონების მართვა</u> - მუნიციპალიტეტის საკრებულოს დასამტკიცებლად წარედგინა ნორმატიული და ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების პროექტები კერძოდ:
- დადგენილების პროექტი - ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.
- განკარგულების პროექტი - საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.
- განკარგულების პროექტი - საპრივატიზებო ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ.
- განკარგულების პროექტი - საყოფაცხოვრებო ნარჩენების კონტეინერების უსასყიდლოდ, შ.პ.ს“ ონის კომუნალური სამსახურისათვის გადაცემის შესახებ.
- ქ. ონში მოედნის ქუჩა N2-ში (გიგა სახელაშვილის დასახლება) მდებარე არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებისა და მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობების (რაოდენობით 18) სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემის შესახებ. აღსანიშნავია, რომ ყოველივე ეს განხორციელდა დასახლებაში მცხოვრები ოჯახების ინტერესებიდან გამომდინარე. პროცესი დაიწყო წლების წინ, თუმცა იმის გამო, რომ ხსენებულ ქონებაზე ფიქსირდებოდა წარსული პერიოდის საგადასახადო ვალდებულება მუნიციპალიტეტი მოკლებული იყო შესაძლებლობას განეხორციელებინა ხსენებული პროცედურები. დღეს - დღეობით მუნიციპალიტეტის მხრიდან 17 საცხოვრებელ სახლზე სრულად არის დასრულებული საჭირო პროცედურები და უახლოეს მომავალში სახელმწიფოს მხრიდან მოხდება სიმბოლურ ფასად ბინების მფლობელებისათვის გადაცემა. რაც შეეხება 3 საცხოვრებელ სახლს გარკვეულ მიზეზთა გამო ვერ მოხერხდა პროცედურების დასრულება. აღნიშნულთან დაკავშირებით მიმდინარეობს მუშაობა.
- განკარგულების პროექტი - ა(ა)იპ „ონის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღი“-სთვის შენობა - ნაგებობისა და ტერიტორიის უსასყიდლო უზუფრუქტით გადაცემის თაობაზე.

- განკარგულების პროექტი - ა(ა)იპ „ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი“-სთვის შენობა - ნაგებობისა და ტერიტორიის (სასპორტო სკოლის, საჭიდაო დარბაზის, სლავა მეტრეველის სახელობის სტადიონის) უსასყიდლო უზუფრუქტით გადაცემის თაობაზე.

ელექტრონული აუქციონის წესით პრივატიზებული იქნა 4 მოძრავი ქონება (ამორტიზებული ავტოსატრანსპორტო საშუალება) პრივატიზაციის შედეგად შემოსულმა თანხამ შეადგინა 6040ლ.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით, ელექტრონული აუქციონის წესით გაიცა, ვადიანი სარგებლობის (აღნაგობის) უფლებით სოფელ საკაოში1599 $მ^2$ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი .

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ მუნიციპალიტეტს გადმოეცა შემდეგი ქონება:

- ქ. ონში ბეერშევას სახელობის პარკი;
- სოფელ შქმერის ადმინისტრაციული სახლი;
- გიგა ჯაფარიძის სახელობის სკვერი;
- ქ. ონში აღმაშენებლის N54-ში არსებული 7300$მ^2$ და 736$მ^2$ არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთი (ყოფილი ბაზარი, რომლის კეთილმოწყობის პროექტი შესყიდულია);
- სოფელ ლაგვანთაში არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი - 9438$მ^2$ (სარიტუალო დარბაზი მიმდებარე ტერიტორიით);
- სოფელ ირში-ღია სპორტული სავარჯიშო მოწყობილობებისა და მოედნის განთავსების მიზნით დარეგისტრირდა 1026$მ^2$ და 368$მ^2$ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.
- მოხდა დაზუსტება ქ. ონში ვახტანგ მე-6-ის ქუჩაზე 340 $მ^2$ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე.

ორგანული კანონის, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებად დარეგისტრირდა:

- სოფელ გლოლაში - 2321$მ^2$ სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი;
- სოფელ გლოლაში - 3470$მ^2$ სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი;
- სოფელ გლოლაში - 9460$მ^2$ სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი;

მოცემული ტერიტორიები ონის მუნიციპალიტეტის მერიის გადაწყვეტილებით დარეგისტრირდა შემდგომში მასშტაბური კერძო საინვესტიციო პროექტების მოზიდვისა და განხორციელების მიზნით, რაც ვფიქრობთ ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარებას, ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას და რაც მთავარია შექმნის სტაბილურ სამუშაო ადგილებს.

საანგარიშო პერიოდში ონის მუნიციპალიტეტს გადმოეცა 2 ავტოსატრანსპორტო საშუალება :

1. ფოლკსვაგენ „პასატი“ - ღირებულებით - 45 075 ლარი;
2. ტოიოტა „ლენდკრუიზერ პრადო“ - ღირებულებით - 22 567ლარი;

საქართველოს 2014 წლის 20 თებერვლის N189 დადგენილების თანახმად გაცემულია 5 საკუთრების მოწმობა საცხოვრებელი ფართების შესახებ, ხოლო 4 მოქალაქის მომართვაზე მიმდინარეობს საქმის წარმოება.

სულ ქონების მართვის საკითხებთან დაკავშირებით სამსახურში დარეგისტრირდა 163 კორესპონდენცია, სამსახურის მიერ ინიცირებულია 112 დავალება.

**სტატისტიკა** - სტატისტიკის მიმართულებით ყოველ კვარტალურად ხორციელდება სტატისტიკური ინფორმაციის შეკრება - დამუშავება მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლების განახლების მიზნით.

სპეციალისტი ჩართულია ასევე, მუნიციპალიტეტის მერის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში.

**ტურიზმი -** სამსახური მოცემული მიმართულებით ახორციელებს ტურიზმის განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების მხარდაჭერას. ამჟამად საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს

სამსახურთან აქტიური კომუნიკაციით მიმდინარეობს მუშაობა ქ. ონის ქუჩების დამისამართების თაობაზე. პირველ ეტაპზე მოთხოვნილია მისამართების დაზუსტება იმ ქუჩებსა და მოედნებზე, რომელსაც ეხება ქალაქი ონის კეთილმოწყობის პროექტში პირველი რიგის სამუშაოები.

❖ **განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის** განვითარებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რაზეც მეტყველებს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სუბსიდიის მნიშვნელოვანი მოცულობა.
აღნიშნულ პერიოდში დაფინანსება მთლიანად ჯამში შეადგენს 833 013 ლარს. აქედან:

- განათლების მიმართულებით - 295 000 ლარი;
- კულტურის მიმართულებით - 223 000 ლარი
- სპორტის მიმართულებით - 138 000 ლარი;
- მოსახლეობის სოციალური მომსახურებისათვის გამოიყო 96 383 ლარი;
- მოსახლეობის საზოგადოებრივი ჯანდაცვას მოხმარდა - 44 670 ლარი;
- კულტურული ღონისძიებებისთვის მუნიციპალიტეტის მერიას გამოყოფილი იყო 45 739 ლარი;

ერთი ბავშვის დაფინანსება საბავშვო ბაგა - ბაღში შეადგენს წელიწადში 1187 ლარს, რაც ქვეყნის მასშტაბით ძალზე კარგი მაჩვენებელია. იგივე ითქმის სხვა სკოლისგარეშე საგანმანათლებლო დაწესებულებებზეც. მაგალითად: სამუსიკო სკოლაში 1374 ლარი, სასპორტო სკოლაში 652.17 ლარი და ა. შ.

გაიხსნა და ექსპლოატაციაში შევიდა სკოლამდელი განათლების ალტერნატიული ცენტრი სოფელ გლოლაში, რომლის მშენებლობაზეც დაიხარჯა 107 231 ლარი, მომარაგდა საჭირო ინვენტარით, სათამაშოებითა და მეთოდური ლიტერატურით. აქ მცხოვრები ბავშვები უკვე შეძლებენ გაიარონ სკოლისათვის მზაობის სახელმწიფო სტანდარტი.

მიმდინარე წლის ნოემბრის თვეში ექსპლოატაციაში შევიდა სპორტული კომპლექსი, რომლის საერთო ღირებულებამ შეადგინა 740 000 ლარი. სპორტული კომპლექსი მოემსახურება, როგორც ადგილობრივ, ასევე რესპუბლიკურ სპორტულ ღონისძიებებს.

მუნიციპალიტეტში განხორციელებული კულტურულ-სპორტული ღონისძიებების შესახებ მოგახსენებთ შემდეგს:

ჩატარდა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, კომპოზიტორ ვაჟა დურგლიშვილის შემოქმედებითი საღამო, რომელიც დაფინანსდა 1500 ლარით, ასევე გაიმართა კომპოზიტორ ვაჟა აზარაშვილის საიუბილეო საღამო, რომელიც დაფინანსდა 1580 ლარით. გაიმართა ტრადიციული სახალხო დღესასწაული „ონელობა“ დანახარჯმა შეადგინა - 18 759 ლარი, საახალწლო ღონისძიებაში გაწეულ იქნა 9600 ლარის ხარჯი.

მუნიციპალიტეტის მოსწავლეებს ყოველწლიურად შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ პროექტში „ეტალონი“. საანგარიშო წელს პროექტში მონაწილეობისათვის გადახდილია 2960 ლარი.

მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის მიერ

ა) ახალგაზრდობის სახელოვნებო/საშემსრულებლო პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლების მიზნით 23 თებერვალს გაიმართა ვორქშოპი, სადაც მოწვეული იყვნენ: ოთარ კაპანაძე- ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ეთნომუსიკოლოგი და გიორგი ალიმბარაშვილი- ქორეოგრაფი, ქორეოლოგი. ლექციის თემა იყო ”ქართული ხალხური ქორეოგრაფიისა და მუსიკის ზოგადი მახასიათებლები და საშემსრულებლო თავისებურებები“, მას თან ახლდა შესაბამისი ფოტო- ვიდეო და აუდიომასალა.

ბ) ამავე სამსახურის ინიციატივით ავსტრიის საელჩოს მხარდაჭერით, ავსტრიის კულტურის ცენტრთან და ავსტრიის ბიბლიოთეკასთან აქტიური თანამშრომლობით მუნიციპალიტეტის თეატრის სცენაზე დაიდგა თანამედროვე ავსტრიელი დრამატურგის ფელიქს მიტერერის

სპექტაკლი „იდიოტებისთვის ადგილი  არ გვაქვს“. რეჟისორი გახლდათ სანქტ - პეტერბურგის თეატრალური  აკადემიის  სტუდენტი გიორგი გამყრელიძე. სპექტაკლმა ანშლაგით ჩაიარა და წარმოადგენდა ერთგვარ მასტერკლასს თანამედროვე თეატრალური ხელოვნების კუთხით. ჩვენთვის განსაკუთრებით ღირებული გახლდათ ავსტრიის ელჩის ბატონ არად ბენკოს შეფასება, რომელიც ეხებოდა არა მხოლოდ სპექტაკლს, არამედ მუნიციპალიტეტის მიღწევებს.

გ) რეჟისორმა გიორგი გამყრელიძემ სამსახურის მხარდაჭერით წარმატებით დადგა ედუარდ ოლბის პიესა  „რა მოხდა ზოოპარკში“,  ასევე თანამედროვე, ინოვაციური მიდგომებით.

კულტურული მომსახურების გაუმჯობესების მიზნით შემუშავდა და ამოქმედდა „კულტურის სტრატეგია - 2018“, რომლის ეტაპობრივად შესრულებაზე დაწესებულია კონტროლი.

დ) ამავე სამსახურის ინიციატივით მუნიციპალიტეტში სპორტის მასობრიობის ხელშესაწყობად თავიდანვე დაგეგმილი ღონისძიებების გარდა ჩატარდა „ევროპის სპორტის კვირეული - 2018“, 23 – 30 სექტემბრის ჩათვლით. სპორტის შემდეგ სახეობებში: მინიფეხბურთი, თავისუფალი ჭიდაობა, მაგიდის ჩოგბურთი, ბადმინტონი, ჭადრაკი. სპორტულ კვირეულში მონაწილეობდნენ ონის სასპორტო სკოლის, ასევე საჯარო სკოლების მოსწავლეები და მოყვარულები, (სულ  150 ბავშვი და მოყვარული).

ე) ჩატარდა მუნიციპალური პირველობა მინი ფეხბურთში მუნიციპალიტეტის წარმოება - დაწესებულებებს შორის. სულ  6 გუნდი და  ღონისძიებაში ჩართული 70 ადამიანი.

ვ) გაიმართა  „სასკოლო სპორტული ოლიმპიადა - 2019“, სადაც მონაწილეობა მიიღო ონის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების გუნდებმა. ოლიმპიადის პროგრამით გაიმართა გეზრბენი, მინიფეხბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, კალათბურთი, მხიარული სტარტები. სულ ოლიმპიადაში ჩაერთო  200 ბავშვი. გამოვლინდნენ რეგიონალურ პირველობაში მონაწილე საჯარო სკოლის გუნდები.

ზ) დაიგეგმა და განხორციელდა ტურისტული ლაშქრობები:

- ონი - უკანჭალა (წმინდა გიორგის სალოცავი);
- ღარი - წმენდაური ( იოვანე ნათლისმცემელი);
- კომანდელი - ხირხონისი (უძრავი მირიანეული);
- ონი - საკაო (წმინდა გიორგისა და ქაშუეთის სალოცავები).  ლაშქრობის მონაწილეები პარალელურად ასუფთავებდნენ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს. ლაშქრობებში მონაწილეობა მიიღო სულ 60 ადამიანმა.

თ) გაზაფხულიდან ფუნქციონირებს სამსახურის ფეისბუქ-გვერდი. მასზე ქვეყნდება ყველა სიახლე, განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის, სოციალურ და ჯანდაცვის სფეროში. გვერდი უკვე პოპულარულია და განსაკუთრებული ინტერესით სარგებლობს რუბრიკა „ადამიანები, რომლებსაც უნდა ვიცნობდეთ“.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობას სხვადასხვა სახის  მომსახურებას სთავაზობს  10 ა(ა)იპ ორგანიზაცია.  წრეობრივ მუშაობაში ჩართულია  698 ბავშვი (ზოგიერთი ბავშვი რამდენიმე წრეშია ჩარიცხული), რომელსაც ასწავლის 53 კვალიფიციური მასწავლებელი. სულ ა(ა)იპ ორგანიზაციებში დასაქმებულია 183 ადამიანი, მთლიანი დაფინანსება შეადგენს  637670  ლარს. (ცალკე მოსახლეობის სოციალური დაცვას ხმარდება 96 383 ლარი).

**ა(ა)იპ „ონის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრში“,**  ფუნქციონირებს ქორეოგრაფიული, სტვირის შემსწავლელი, საესტრადო, ხალხური ინსტრუმენტების და ხალხური სიმღერის შემსწავლელი წრეები. მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით კულტურის ცენტრში ფუნქციონირებს საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ცენტრის მიერ შექმნილი სალოტბარო სკოლა, სადაც  25 ბავშვი ეუფლება ქართულ ფოლკლორს, ქორეოგრაფიული ანსამბლი „ორბა“ და ფოლკლორული ანსამბლები „რაჭა“ და „ბუბა“. კულტურის ცენტრის მიერ წლის განმავლობაში ჩატარდა 19 დაფინანსებული და დაუფინანსებელი ღონისძიება.

**ა(ა)იპ „ონის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა“** საინტერესო მუშაობას ეწევა. 6 მოსწავლის ნამუშევარი გაიგზავნა ჩეხეთის რესპუბლიკის ქალაქ ლიდიცეში, სისტემატურად ეწყობა წარმატებული გამოფენები ქვეყნის, რეგიონისა და მუნიციპალიტეტის მასშტაბით. საინტერესო სტუმრები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან სტუმრობენ სკოლას, ატარებენ მასტერკლასებს. ჩატარდა გასვლები პლენერზე. მათ შემოვლილი აქვთ ამ მიზნით მუნიციპალიტეტის და საქართველოს ღირშესანიშნაობები. პროფესიულ განათლებას იღებს 54 ახალგაზრდა. ბავშვები სწავლობენ ხატვას, თექის დამუშავებას, ფოტოხელოვნებას, ფერწერას, კომპოზიციას, ხის მხატვრულ დამუშავებას, ბატიკას.

**ა(ა)იპ „ონის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლას“** ჰყავს ახალგაზრდა დირექტორი, რომელმაც სამსახურის დახმარებით უკვე განახორციელა რამდენიმე საინტერესო პროექტი.

**ა(ა)იპ. „ონის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა“** მუნიციპალიტეტის მოსახლეობას წიგნით მომსახურებას უწევს ერთი ცენტრალური ბიბლიოთეკა და 16 სასოფლო ბიბლიოთეკა, რომელიც ემსახურება 800 მკითხველს. მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი მთლიანად 61 273 ეგზემპლიარია. ბიბლიოთეკაში აღინიშნება საინტერესო ღონისძიებები, როგორიცაა დამსახურებული ბიბლიოთეკარებთან შეხვედრა, ახალი წიგნების პრეზენტაცია, გამოფენა, საინტერესო სტუმრებთან შეხვედრა და სხვა.

**ა(ა)იპ. „ონის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი“** სერიოზულ სამეცნიერო მუშაობას ეწევა, იმართება სამეცნიერო ლიტერატურის განხილვები, გამოჩენილ და ადგილობრივ მხატვართა გამოფენები. სხვადასხვა სამეცნიერო და ძიებითი სამუშაოები. 2018 წელს უკვე ჩატარდა მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომლების მიერ არქეოლოგიური დაზვერვითი სამუშაოები „ჯიხურის“, სოფელ წოლასა და წმენდაურის მიდამოებში. მუზეუმის ფონდი შეივსო ახალი ეთნოგრაფიული ექსპონატებით. ყველაზე მნიშვნელოვანი შენაძენია, ბრინჯაოს ჭვირული ბალთა, 8,5 x 9 სმ, ოთხკუთხედი ფორმის. ბალთა თარიღდება ახალი წელთაღრიცხვის 1- 3 საუკუნეებით. ბალთა უკვე გამოიფინა ექსპოზიციაში. მუზეუმში დაცულია 18 ერთეული ამგვარი ტიპის ბალთა.

2017-18 წლებში მნიშვნელოვან აღმოჩენად შეიძლება ჩაითვალოს სოფ. ჭიბრევში მიკვლეული კლდეზე დაფუძნებული ანტიკური ხანის ნაგებობების ნაშთები, ამ ტიპის ნაგებობა ჯერჯერობით ერთადერთია რაჭაში. ძეგლზე მუზეუმის თანამშრომლების აქტიური ძალისხმევის შედეგად ჩატარდა დაზვერვითი და გაწმენდითი სამუშაოები, რომლებშიც მონაწილეობა მიიღეს თბილისიდან რაჭაში მივლინებით მყოფმა არქეოლოგების ექსპედიციამ ილიაუნის უნივერსიტეტის პროფესორის გურამ ყიფიანის ხელმძღვანელობით.

არქეოლოგიური დაზვერვითი სამუშაოების შედეგად გამოვლინდა ამავე სოფელში სამი ძალზედ საყურადღებო არქეოლოგიური არტეფაქტი: ბრინჯაოს თოხი ძვ.წ. მე-10-8 სს, უნიკალური თიხის საბეჭდავი ძვ.წ. მე- 8-7 სს, ბრინჯაოს რიტუალური ქამრის ბალთა 1-3 სს. ამავე სოფელში აღმოჩენილია ანტიკური ხანის საცხოვრებელი, რომელსაც ადამიანის ხელი ნათლად ეტყობა და დამატებით კვლევას საჭიროებს, რომელიც დაიგეგმება მომდევნო წლისათვის.

ოქტომბრის თვეში მუზეუმის თანამშრომლების მიერ მიკვლეულ იქნა სრულიად უცნობი, მე-10 საუკუნის ეკლესიის ნაგებობის კვალი, ძველი ჩორდის მიდამოებში, საიდანაც მუზეუმში ჩამოვიტანეთ ანდეზიტის ღილების მწკრივით შემკული კარნიზის რელიეფი.

**ა(ა)იპ „ონის მუნიციპალიტეტის მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლში“,** ფუნქციონირებს 9 წრე 3 შემოქმედებითი და 6 საგნობრივი, სულ გაერთიანებულია 160 ბავშვი, გასულ წელთან შედარებით 48 ბავშვით მეტი. დრამატული წრის მიერ დაიდგა ლ. თაბუკაშვილის პიესა „ჭრილობა“. თანდათან ვითარდება და დაოსტატებას აღწევს ხალხური საკრავებზე შემსრულებელთა ანსამბლი „ჰანგი’’.

**ა(ა)იპ „ონის მუნიციპალიტეტის ბაგა - ბაღში“,** გლოლის ალტერნატიული სკოლამდელი განათლების ცენტრში სულ 160 ბავშვი გადის ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამას, ხოლო სკოლისათვის მზაობის პროგრამას - 41 ბავშვი. ქალაქში 2018 წლის

პირველი იანვრისთვის სულ აღრიცხულია ერთ წლამდე ასაკის 22 ბავშვი, ერთი წლის ზემოთ 182. სოფლად ერთ წლამდე 12 ბავშვი, ერთი წლის ზემოთ - 108 ბავშვია აღრიცხული. სოფლად ბავშვთა მითითებული რაოდენობა გაბნეულია 26 სოფელში. 38 სოფელში სამწუხაროდ, არცერთი სკოლამდელი ასაკის ბავშვი არ არის.

**ა(ა)იპ „ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსში“** ფუნქციონირებს თავისუფალი, ბერძნულ - რომაული, ქართული ჭიდაობის წრეები, რომელთა აღსაზრდელები სერიოზულ წარმატებებს აღწევენ რესპუბლიკურ და საერთაშორისო ტურნირებზე: 12 ახალგაზრდა საქართველოს ნაკრები გუნდის წევრია. ასევე ფუნქციონირებს ფეხბურთის და კალათბურთის წრეები. წარმატებით იასპარეზა ონის ,,მამისონის“ გუნდმა და მოყვარულთა ლიგაზე დიდ ფეხბურთში საქართველოს მასშტაბით 300 გუნდიდან მე-6 ადგილი დაიკავა. გვინდა დავამატოთ სპორტის სხვა სახეობებიც და პირველ რიგში აქცენტს ვაკეთებთ მძლეოსნობაზე.

**ონის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირებზე ქ. ონის მოსახლეობაზე საანგარიშო პერიოდში ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური ფულადი დახმარება გაიცა შემდეგ კატეგორიებზე:**

- სამედიცინო-დიაგნოსტიკურ კვლევებზე, სტაციონარულ მედიკამენტურ და ქირურგიულ მკურნალობაზე, ერთჯერადი ფულადი დახმარება გაიცა 114 - მოქალაქეზე ; ჯამში - 37 644 (ოცდაჩვიდმეტი ათას ექვსას ორმოცდაოთხი ) ლარი.
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე ერთჯერადი ფულადი დახმარება გაიცა 24 მოქალაქეზე, თითოეულზე 250/300 ლარი; ჯამში - 7050 (შვიდი ათას ორმოცდაათი) ლარი.
- მრავალშვილიანი ოჯახებისა და ბავშვების შეძენასთან დაკავშირებით ერთჯერადი ფულად დახმარება გაიცა; 99 ოჯახზე -ჯამში - 21 300 (ოცდაერთი ათას სამასი) ლარი.
- მარჩენალ დაკარგულ, ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებზე ერთჯერადი ფულად დახმარება გაიცა - 38 ობოლ ბავშვზე, თითოეულ ბავშვზე 100 (ასი) ლარი ; ჯამში- 3800 (სამიათას რვაასი) ლარი.
- გარდაცვლილი ომის ვეტერანთა სარიტუალო ხარჯებისთვის ერთჯერადი ფულად დახმარება გაიცა - ომის ვეტერანის 1 ოჯახზე; ჯამში - 250 (ორას ორმოცდაათი) ლარი.
- ონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ხანდაზმულ მოქალაქეებზე (100 წლის და მეტი ასაკის ) ერთჯერადი ფულადი დახმარება გაიცა - 4 ხანდაზმულ მოქალაქეზე, თითოეულზე 500 (ხუთასი) ლარი; ჯამში - 2000 ლარი.
- ხანძრისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე, რომელიც ითვალისწინებს საცხოვრებელ სახლებზე მიყენებული ზარალისათვის დახმარებას, მიმდინარე წელს ფულა დი დახმარება არ გაცემულა .
- უსახლკარო, სოციალურად დაუცველი ოჯახების საცხოვრებელი ბინის ყოველთვიური ქირით უზრუნველსაყოფად ბინის ქირის საფასური გაიცა 3 ოჯახზე თითოეულ ოჯახზე თვეში 50 (ორმოცდაათი) ლარი; ჯამში - 1450 (ათას ოთხას ორმოცდაათი) ლარი.
- საქართველოს ტერიტორიული ერთიანობისათვის ბრძოლაში მონაწილე ქალებზე 8 მარტს - ქალთა საერთაშორისო დღის აღნიშვნასთან დაკავშირებით; 1 ვეტერან ქალზე გაიცა 100 (ასი) ლარი.
- ონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებზე 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით - 2 ვეტერანზე გაიცა ფულადი შემწეობა 200 ( ორასი) ლარი; - ჯამში 400 (ოთხასი) ლარი.
- საქართველოს ტერიტორიული ერთიანობისათვის ბრძოლაში დაინვალიდებულ პირთა და ბრძოლის დროს დაღუპულ მეომართა ოჯახებზე, 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღესასწაულთან დაკავშირებით 9 ვეტერანის ოჯახზე (თითოეულ ოჯახზე) გაიცა ერთჯერადი ფულადი შემწეობა 100 (ასი) ლარი; - ჯამში 900 (ცხრაასი) ლარი.
- მეორე მსოფლიო ომის 2 ვეტერანზე ზამთრის სეზონისთვის საშეშე მერქნის შესაძენად გაიცა ერთჯერადი ფულადი დახმარება (თითოეულზე 400 ლარი) 800 (რვაასი) ლარი;
- სოციალურად დაუცველ ომის ვეტერანებზე 17 ოქტომბერს ვეტერანის დღესთან დაკავშირებით - 9 ვეტერანზე გაიცა ერთჯერადი ფულადი დახმარება (თითოეულზე 100 ლარი) 900 (ცხრაასი) ლარი.

- საქართველოს ტერიტორიული ერთიანობისათვის ბრძოლაში დაინვალიდებულ პირთა და ბრძოლის დროს დაღუპულ მეომართა 9 ოჯახზე (თითოეულ ოჯახს ) გაიცა საშობაო საჩუქარი 100 (ასი) ლარი; - ჯამში 900 (ცხრაასი) ლარი.
- ონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ომის ვეტერანთა, აფხაზეთიდან და ცხინვალიდან დევნილთა ოჯახებზე, დასუფთავების მოსაკრებლის დაფარვა მოხდა ადგილობრივი ბიუჯეტიდან, წყლის გადასახადზე დახმარება გაიცა 61 ოჯახზე (193 ბენეფიციარი). ჯამში - 1158 (ერთი ათას ასორმოცდათვრამეტი) ლარი.
- სულ ონის მუნიციპალიტეტის 2017 წლის 1 ნოემბრიდან 2018 წლის 1 ნოემბრამდე სოციალური ღონისძიების დაფინანსების ბიუჯეტიდან ონში რეგისტრირებულ მუდმივად მცხოვრებ 508 ბენეფიციარს გაეწია ფულადი დახმარება; ჯამში **78652** (სამოცდათვრამეტი ათას ექვსას ორმოცდათორმეტი) ლარი.

- **მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის თაობაზე შემოსულია 538 განცხადება.**

**მათ შორის:**

- სტატუსის მინიჭებაზე მიღებულია - 150 განცხადება.

სტატუსის მიენიჭა 131 მოქალაქეს, უარი ეთქვა 16 მოქალაქეს; განხილვის გარეშე შეწყდა 2 განცხადება;

- საჯარო რეესტრიდან მიღებულია - 176 შეტყობინება სტატუსის შეწყვეტის შესახებ;

გარდაცვალების გამო სტატუსის შეუწყდა 32 პირს; რეგისტრაციის ცვლილების გამო სტატუსის შეუწყდა 9 მოქალაქეს;

- 3 - მთის სტატუსის ცნობის გაცემის შესახებ შემოსულია 212 განცხადება;
- გაიცა 210 ცნობა, არ დაკმაყოფილდა 2 მოქალაქე;

❖ **ა(ა)იპ „ონის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“** - ადგილობრივი ხელისუფლება საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრების მეშვეობით ზრუნავს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. Pრამოდენიმე წელია მოსახლეობის მოთხოვნის შესაბამისად ვახორციელებთ მოწვეული კვალიფიციური სპეციალისტების მიერ მოსახლეობის უფასო სამედიცინო დახმარების პროგრამას და ვახდენთ უფასო გამოკვლევებსა და გასინჯვებს.N 7-8 ივლისს ონის საავადმყოფოში „სხივური მედიცინის ცენტრის“, „ კ. მარდალეიშვილის სამედიცინო ცენტრის“ და „ს. ხეჩინაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკის“ წამყვანმა სპეციალისტებმა ადგილობრივი მოსახლეობისთვის უფასო სამედიცინო გასინჯვები და კვლევები ჩაატარეს.
მოსახლეობამ ადგილზე მიიღო გინეკოლოგის, მამოლოგის, თავ-კისრის ქირურგის, გასტროენტეროლოგის, დერმატოლოგის და ონკოლოგის კონსულტაციები, ჩატარდა ექოსკოპიური კვლევები. სულ გასინჯულ იქნა 250–300 ადამიანი.
6–7 ოქტომბერს მოვიწვიეთ ქ. ქუთაისის „ენდოკრინოლოგიური ცენტრის“ ბრიგადა, რომელშიც შედიოდნენ ენდოკრინოლოგები, ანგიოლოგი, რევმატოლოგი, ექოსკოპისტი. ჩატარდა დოპლეროგრაფიული, ექოსკოპიური კვლევები, სისხლში TSH (ტე ეს აშ ) ჰორმონის და გლიკოზირებული ჰემოგლობინის განსაზღვრა, დენსიტომეტრია– ძვალში კალციუმის შემცველობის გამოკვლევა . ჯამში სულ გაისინჯა და გამოკვლევა ჩაუტარდა 250 ადამიანს. ჩატარდა 211 კვლევა 10–11 ნოემბერს კი იგივე ცენტრმა ჩაატარა ქ. ონის საჯარო სკოლის მოსწავლეთა და პედაგოგთა გასინჯვა–გამოკვლევები ენდოკრინოლოგების, რევმატოლოგის ოფთალმოლოგის და ექოსკოპისტის მიერ. ჯამში გამოკვლეულ იქნენ 250–მდე მოსწავლე და მასწავლებელი და ჩატარდა მნიშვნელოვანი კვლევები TSH ჰორმონზე, რევმატოიდულ ფაქტორზე, სისხლში და ძვალში კალცის შემცველობისა და ჰემოგლობინის დონის განსაზღვრაზე და მხედველობის დარღვევებზე. გამოყენებულ იქნა უახლესი აპარატურა. გაზაფხულზე შემოწმდა ონის ბაგა–ბაღის აღსაზრდელები–

4–5–6 წლიანთა ჯგუფები ქირურგის და ოფთალმოლოგის მიერ, გამოვლენილ იქნა დარღვევები მხედველობის და ფიზიკური განვითარების მხრივ.

წლის განმავლობაში მიმდინარეობს ჰელმინთოზის საწ. მედიკამენტის, მებენდაზოლის გაცემა 2–10 წლამდე ასაკის ბავშვებზე და მათი ოჯახის 15 წლამდე წევრებზე პედიატრის დანიშნულებით უფასოდ. გაზაფხულზე დაიწყო და დღესაც მიმდინარეობს „C" ჰეპატიტზე სისხლის კონფირმაციული კვლევა.

მიმდინარეობს და კვლავაც გაგრძელდება საშვილოსნოს ყელის, ძუძუს და სწორი ნაწლავის კიბოს სკრინინგის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ქ. ქუთაისის ონკოლოგიურ კლინიკას თავისი ტრანსპორტით გადაჰყავს ცენტრის მიერ შერჩეული კონტიგენტი. 36 პაციენტმა უკვე ჩაიტარა გამოკვლევა.

❖ **ა(ა)იპ „ონის მუნიციპალიტეტის გამწვანების სამსახური"** მუშაობას ახორციელებს მუნიციპალიტეტის მერიის დამტკიცებული ღონისძიებათა გეგმის მიხედვით, რათა კეთილ მოეწყოს ქუჩები, მოედნები, სკვერები და გაუმჯობესდეს ჩვენი ქალაქის იერსახე. საანგარიშო პერიოდში სამსახურმა შეასრულა სხვადასხვა სახის სამუშაოები:

- ნოემბერი - დეკემბერი : დ. აღმაშენებლის და სხირტლაძის ქუჩებზე ზეხმელი ხეების გაკაფვა, ფორმირება, მოჭრა და სოციალურად დაუცველი ოჯახების უზრუნველყოფა ზამთრისათვის სათბობი შეშით ( დაკმაყოფილდა 16 ოჯახი).
- ქ.ონში გიგა ჯაფარიძის სახელობის ბულვარის ტერიტორიაზე ყვავილის ბოლქვების და მარადმწვანე მცენარეების დარგვა.
- იანვარი- თებერვალი: ქ. ონში გიგა ჯაფარიძის სახელობის ბულვარში შ. რუსთაველის და კახაბერის ქუჩებზე ზეხმელი ხეების გაკაფვა, ფორმირება, მოჭრა და სოციალურად დაუცველი ოჯახების უზრუნველყოფა ზამთრისათვის სათბობი შეშით( დაკმაყოფილდა 30 ოჯახი).

2017 წლის ნოემბრიდან 2018 წლის თებერვლის ჩათვლით ზემოთ აღნიშნული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 5600 ლარი.

- მარტი -აპრილი: ქ. ონში დ. აღმაშენებლის მოედანზე არსებული სკვერის ნიადაგის დამუშავება, განოყიერება, მომზადება მცენარეების და ყვავილების დასარგავად. აღნიშნული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 350 ლარი.

დ. აღმაშენებლის და კახაბერის ქუჩების ცაცხვის ნერგებით განაშენიანება სულ დაირგო 84 ძირი ცაცხვი. ბულვარის ტერიტორიაზე და არნო ონელის ქუჩაზე 15 ძირი პალმოლია.

- მაისი -ივნისი: დ. აღმაშენებლის მოედანზე მდებარე სკვერის განაშენიანება ყინვა გამძლე და მარადმწვანე მცენარეებით, რომლის ღირებულებამ შეადგინა 5888 ლარი და დაირგო 253 ნერგი. ასევე, მოხდა სკვერში არსებული შადრევანის რეაბილიტაცია, რომლის ღირებულებამ შეადგინა 250 ლარი.
- ივლისი- აგვისტო: მოედნის ქუჩაზე არსებული სკვერის რეაბილიტაცია და მცენარეების დასარგავად ნიადაგის მომზადება (მიწის მოჭრა, გატანა და ახალი, ორგანული სასუქით გამდიდრებული მიწით შევსება).
- სექტემბერი- ოქტომბერი: ქალაქის მასშტაბით არსებული გაზონების, სკვერების გათიბვა და დასუფთავება.
- ნოემბერი: საბავშვო ბაღის და ბეერ-შევას პარკის ტერიტორიაზე ზეხმელი ხეების მოჭრა და სოციალურად დაუცველი ოჯახების უზრუნველყოფა ზამთრისათვის, სულ დაკმაყოფილდა 36 ოჯახი და სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 4100ლარი.

წლის განმავლობაში პერიოდულად ხდებოდა დ. აღმაშენებლის მოედანზე არსებულ სკვერში ნარგავების, ყვავილების გასხვლა და ქიმიურად დამუშავება, ასევე მორწყვა.

❖ **სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის** 2017 წლის ოქტომბრიდან 2018 წლის ნოემბრამდე გასაწვევ წვევამდელთა გეგმა იყო -11 წვევამდელი. თბილისში გამწვევ სამედიცინო კომისიაზე გადაყვანილია სულ 43 წვევამდელი. ჩარიცხულია და იხდის სამხედრო სამსახურს 16 წვევამდელი. აქედან, თავდაცვის სამინისტრო-7. შინაგან საქმეთა სამინისტროში -9 ამის გარდა დაცვის სპეციალურ სამსახურში ჩარიცხულია 12. პოლიციაზე მოსაძებნად გადაცემულია და მიღებულია შესაბამისი ღონისძიება - 50 წვევამდელზე. სასამართლოში გადაცემულია- 10 წვევამდელი. რეზერვში გადარიცხულია და აღრიცხვაზეა აყვანილი- 56 წვევამდელი. გაცემულია 41 სამხედრო სააღრიცხვო მოწმობა. პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანილია 33 წვევამდელი.

❖ **შიდა აუდიტის სამსახურმა** წლიური გეგმის მიხედვით ჩაატარა აუდიტორული შემოწმებები და დადო შესაბამისი დასკვნები ქვემოთ ჩამოთვლილ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებსა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოებზე:

1. შპს "მოედანი 2009";
2. ა(ა)ი "ონის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი";
3. ა(ა)იპ „ონის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა";
4. ა(ა)იპ „ონის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღი";
5. ა(ა)იპ „ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი";
6. შპს „ონის კომუნალური სამსახური";

❖ **შპს „ონის კომუნალურმა სამსახურმა"** საანგარიშო პერიოდში ონის მუნიციპალიტეტის მერიასთან დადებული ხელშეკრულებების პირობების შესაბამისად განახორციელა შემდეგი სახის სამუშაოები: დასუფთავდა: 1. ბარათაშვილის ქუჩა 8708 m², კახაბერის ქუჩა 12456 m², დ. აღმაშენებლის ქუჩა 11610 m², ვახტანგVI ქუჩა 18904 m², ბაზოვის ქუჩა 11219 m², დ. აღმაშენებლის მოედანი 6015 m², დემეტრე II მოედანი 4112 m², ბულვარი და გამგეობის წინამდებარე ტერიტორია (შემოღობვის შიგნით) 3600 m², მინდელი ქუჩა 2849 m², ქაფიანიძის ქუჩა 7660 m², საკაძის ქუჩა 6499 m², წერეთლის ქუჩა 5725 m², მოედნის ქუჩა 4492 m², რუსთაველის ქუჩა 2514 m², დემეტრე II ქუჩა 7421 m², აღმაშენებლის მოედანზე განთავსებული სკვერი 1800 m², ბერშევის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი 4500 m², კობერიძის ქუჩა 684 m², გივი დგვარელის+კაციტაძის ქუჩა 3528 m², ირინა სხირტლაძის ქუჩა 3007 m² ზურაბ ქაფიანიძის და ყაზბეგის შემაერთებელი ქუჩა 770 m², ვახტანგ VI me-3 შესახვევი 367 m², ბარათაშვილის ჩიხი 297 m², არნო ონელის ქუჩა 3088 m², ი.ჭავჭავაძის ქუჩა 1368 m², გვანცა დედოფლის ქუჩა 1016 m², აკაკი მაგრაქველიძის ქუჩა 450 m², ვაჟა-ფშაველას ქუჩა 1468 m², ჯიმი მაისურაძის ქუჩა 243 m², გიორგი მაისურაძის ქუჩა 658 m2, გერმანე გობეჯიშვილის ქუჩა 939 m², უჩა ჯაფარიძის ქუჩა 3240 m², გალაქტიონ ტაბიძე+ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა 2295 m², დავით გურამიშვილის ქუჩა 1485 m², მიხეილ ჩაჩაშვილის ქუჩა 5173 m², წმინდა ნინოს ქუჩა 999 m², ბრილის ქუჩა 1026 m², არტუანის ქუჩა 1143 m², ახალშენის ქუჩა 2160 m², სასაფლაოს ქუჩა 4275 m², სიმონ სხირტლაძის ქუჩა 1440 m², წერეთლის ქუჩა 1800 m², რევაზ ჯაფარიძის აღმართი 3240 m², ი.სხირტლაძის ქუჩიდან ჭალის მჟავეწყლამდე 315 m², მურმან ლებანიძის სანაპირო 4860 m² ხელშეკრულებით გათვალისწინებული პერიოდულობით, ღირებულებით 75920 ლარი.

ხდებოდა ქალაქის ტერიტორიაზე განთავსებული 146 ცალი და სოფლებში: ღარი, ლაგვანთა, ნაკიეთი, უწერა, შოვი, ნიგვზნარა, სორი, ზუდალის ტერიტორიაზე განთავსებული 60 ცალი ნარჩენების კონტეინერების რეგულარული გატანა ღირებულებით 146419 ლარი.

2017 წლის ზამთარში თოვლისგან გაიწმინდა და მარილი მოეყარა დ. აღმაშენებლის და ადმინისტრაციული შენობის შესასვლელის ტერიტორიას 860 ლარის ოდენობით.

მომსახურება გაეწია ონის საზოგადოებრივი ტუალეტის დასუფთავებას - 4740 ლარი, მიმდინარეობდა აღმაშენებლის მოედანზე და ბულვარის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვა -

მეთვალყურეობა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისგან - 3870 ლარი. ადმინისტრაციული შენობის შიდა ფართის დაგვა-დასუფთავება -9396 ლარი.

წინასწარ აღრიცხული დეფექტური უწყისის საფუძველზე ხდებოდა გარე განათების დაზიანებული სისტემის შეკეთება - რეაბილიტაცია მუნიციპალიტეტის მთლიან ტერიტორიაზე, ღირებულებით 9976 ლარი.

ასევე, შპს-ს მიერ განხორციელდა 2018 წლის 21 სექტემბრის N06/09 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები, კერძოდ: ქ. ონში გიგა ჯაფარიძის სახელობის ბულვარში დამონტაჟდა 28 დეკორატიული ლამპიონი, აღმაშენებლის მოედანზე და ხიდებზე დამონტაჟდა 40 ცალი დეკორატიული ლამპიონი, ჭალულის და რიონის ხიდებზე დამონტაჟდა 15 ლამპიონი, ღირებულებით 3644 ლარი.

განხორციელდა საახალწლო ღონისძიებისთვის მასალების შემოტანა და მონტაჟი-დემონტაჟი, რომლის ღირებულებამაც შეადგინა 9473 ლარი.

❖ **შპს „მოედანი 2009“-ს** შემოსავალი დადებული ხელშეკრულების საფუძველზე შეადგენს 150879,10 (ასორმოცდაათი ათას რვაას სამოცდაცხრამეტ) ლარს დღეის ჩათვლით. კერძოდ:

- სხვადასხვა საწარმოებთან ტექნიკის გაქირავებასა და მომსახურეობაზე დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე შემოსული შემოსავლები შეადგენს – 56480 (ორმოცდა თექვსმეტი ათას ოთხას ოთხმოცი) ლარს.
- ელექტრონული ტენდერის საფუძველზე მუნიციპალიტეტის ხელშეკრულება N 06/01 – ონი–ამბროლაურის, ამბროლაური – ონის მიმართულებით მოსახლეობის ტრანსპორტით მომსახურეობა შეადგენს – 5660,46 (ხუთი ათას ექვსასსამოცი) ლარს.
- ელექტრონული ტენდერის საფუძველზე მუნიციპალიტეტის ხელშეკრულება N 13/01 ონის მუნიციპალიტეტის აგილობრივი მნიშვნელობის გზების თოვლისაგან და მეწყერისაგან წმენდის მომსახურეობა. მთლიანი ღირებულებით – 39998,83 (ოცდაცხრამეტი ათას ცხრაას ოთხმოცდა თვრამეტი) ლარი.
- ელექტრონული ტენდერის საფუძველზე მუნიციპალიტეტის ხელშეკრულება N 03/12 (11.12. 2017 წ–დან , 5.06. 2018 წ–მდე) ადგილობრივი მნიშვნელობის გზების თოვლისა და მეწყერისაგან წმენდა. ღირებულებით – 19988.21 (ცხრამეტი ათას ცხრაას ოთხმოცდარვა) ლარი.
- სარეზერვო ფონდიდან მუნიციპალიტეტის ხელშეკრულება N 02/06 (4.06. 2018 წ.) მდ. ღარულის, გომბორულის დაქვედრულის დატბორვის საწინააღმდეგო სამუშაოები ღირებულებით – 3075 (სამი ათას სამოცდათხუთმეტი) ლარი.
- სარეზერვო ფონდიდან მუნიციპალიტეტის ხელშეკრულება N 09/06 (28.06.2018 წ.) ფსორსა და ბაჯიხევში სტიქიის შედეგად დაზიანებული გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით – 2699.78 (ორი ათას ექვსას ოთხმოცდაცხრამეტი ) ლარი.
- სარეზერვო ფონდი, მუნიციპალიტეტის ხელშეკრულება N 04/07 (17.07.2018 წ.) სოფ. ღებში სტიქიის შედეგად დაზიანებული ხიდის და ნაპირსამაგრი სამუშაოები, ღირებულებით – 3001.92 (სამი ათას ერთი ) ლარი.
- ელექტრონული ტენდერი, მუნიციპალიტეტის ხელშეკრულება N 08/08 (16.08.2018 წ.)ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მიმდინარე და პერიოდული სამუშაოები (სოფლების მისასვლელი და შიდა გზების მეწყერისაგან წმენდა და გზის დაპროფილება) ღირებულებით – 17496.90 (ჩვიდმეტი ათას ოთხას ოთხმოცდათექვსმეტი) ლარი.
- სარეზერვო ფონდიდან მუნიციპალიტეტის ხელშეკრულება N 05/09 (21.09.2018წ.) სოფ. ღებში თევრეშო – ბრილის მიმართულებით მეწყრული მოვლენების გააქტიურების შედეგად ჩაკეტილი გზების და მდ. ლათქიშორას კალაპოტის წმენდის სამუშაოები, ღირებულებით – 2478 (ორი ათას ოთხას სამოცდათვრამეტი) ლარი.

❖ **სოფლის მეურნეობა**

სოფლის მეურნეობის კუთხით განხორციელებული პროექტები:

• ონის მუნიციპალიტეტში სახელმწიფოს მხრიდან სოფლის მეურნეობის ხელშეწყობით განხორციელდა სხვადასხვა სახის პროგრამები და შესაბამისი პროექტები, კერძოდ:

„ საპარტნიორო ფონდისა და NATIVE GEORGIAN”-ის ერთობლივი „ქართული მთის ღორის გადარჩენის პროექტი“-ს ინვესტიციის მთლიანი ღირებულება 12 მილიონ დოლარს შეადგენს. პროექტი საქართველოში „იბერიკო“-ს ჯიშის ანალოგის, უნიკალური ქართული მთის ღორის მოშენების, ქართული „ჰამონი“-ს წარმოებისა და მსოფლიო ბაზარზე მისი კომერციალიზაციის ეტაპებს მოიცავს. სოფელ ღარში ფერმის მშენებლობა დასრულებულია და მიმდინარეობს შიდა სამუშაოები. შემოყვანილია კახური ჯიშის ღორი, რომელიც დროებით განთავსებულია სოფელ ნიგვზნარისა და სოფელ გლოლის კერძო ფერმებში.

• ქ. ონში კომპანია „გეოფლაუერი“- ხილის მიმღები პუნქტი ფუნქციონირებს, სადაც ხდება შემდეგი ნედლეულის მიღება: ვაშლი, მსხალი, ქაცვი, ასკილი, ქლიავი, ანწლი, მოცვი და ფურისულას ფესვები; კომპანიამ მოსახლეობისგან ჩაიბარა 25 ტონამდე ასკილი ( კილოგრამის ღირებულებაა 80 თეთრი) და 40 ტონამდე კულტურული და გარეული ხილი.

• სოფელ ზუდალში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივმა „ბაჯიხევი“ გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) დაფინანსებით ააშენა მეღორეობის ფერმა და ლორის შესაბოლი საწარმო, საერთო ინვესტიციამ შეადგინა 70 000 ლარი. აწარმოა 6-7 ტონა რაჭული ლორი.

ფერმერმა ვაჟა ცეცაძემ 1, 3 ჰა გააშენა თევზის სატბორე მეურნეობა, სადაც გაშვებულია თეთრი ამურისა და საზანის ჯიშის თევზი.

• „მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამით“ მუნიციპალიტეტის კოოპერატივებს შეღავათიანი, 30% -იანი თანადაფინანსებით გადაეცათ 1000 ერთეული ფუტკრის სკა. ასევე, ციბრუტები და თაფლის შესანახი მოწყობილობები. ამ სახელმწიფო დახმარების პროგრამით მუნიციპალიტეტში შემოსულია 86 ერთეულის მოტობლოკი კომპლექტით.

• „მცირეგაბარიტიანი ტექნიკით კოოპერატივების აღჭურვის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში 8 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს გადაეცა 8 ერთეული აგრო კომპლექტი (მოტობლოკი და ხელის სათესი). აღნიშნული პროგრამის ფარგლებში კოოპერატივებს ჯამში გადაეცათ 90 ერთეული აგრო კომპლექტი.

• სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „ქვედრულა 2018“ მონაწილეობას იღებს „რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამაში“, აშენდა სოფელ ქვედში თანამედროვე სტანდარტების რძის გადამამუშავებელი საწარმო, სახელმწიფოს მხრიდან ინვესტიციამ შეადგინა 40 000 ევრო. შემოტანილი იქნა საწარმოო დანადგარები. მომავალი წლიდან ქარხანა დაიწყებს ფუნქციონირებას, რომელიც გააუმჯობესებს სოფლის მაცხოვრებელთა სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას და შეაჩერებს მიგრაციის პროცესს.

• ქ. ონში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივმა „რაჭა 2014“ დაასრულა თაფლის გადამამუშავებელი საწარმოს მშენებლობა, მიმდინარეობს საწარმოო ხაზის მონტაჟი, რომელიც უახლოეს ხანში დასრულდება. აღნიშნული კოოპერატივი ENPARD-ის პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 120 000 ლარის გრანტით. ნიმუშები გაგზავნილია არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში და დიდი შანსია თაფლი გავიდეს აღნიშნული ქვეყნის ბაზარზე.

• ქ. ონში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივმა „ხარაზეული“ გახსნა ძმრის საწარმო, სადაც ადგილობრივი ნედლეულის გამოყენებით (ვაშლი, თაფლი, სვია) მზადდება ვაშლის და ჟოლოს ძმარი; კოოპერატივი ENPARD-ის პროგრამის ფარგლებში 15 000 ლარით, ხოლო „აწარმოე მთაში“ - 10000 ლარით დაფინანსდა, სხვადასხვა სახეობის ვაშლის ძმარი უკვე იყიდება ქსელებში. სულ ქსელებში 2-18 წელს გატანილია 20000 ლარის პროდუქცია.

• მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ვაქცინაციის მიზნით ადგილობრივი ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ხდება 8000 ლარის გამოყოფა, რითაც ხდება ეპიზოოტის საწინააღმდეგო ვაქცინაცია დაავადებაზე „ემკარი“ და „პასტერელოზი“. სახელმწიფოს მხრიდან განხორციელდა ვაქცინაცია მრპ დაავადება თურქულზე, ბრუცელოზზე, ცოფსა და ნოდურალურ დერმატიტზე.

• 25 აგვისტოს ქ. ონში ჩატარდა აგრო ტურისტული ფესტივალი, სადაც წარმოდგენილი იყვნენ რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ფერმერები, რომლებსაც წარმოდგენილი ქონდათ სხვადასხვა სახის პროდუქცია. ასეთი სახის გამოფენები ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის პოპულარიზაციას. 2018 წელს მთიანი, მცირემიწიანი რეგიონებისათვის დაიწყო სახელმწიფო პროგრამა 100 %-იანი დაფინანსებით „დანერგე მომავალი“, რომელიც ითვალისწინებს კენკროვანი კულტურის ბაღების გაშენებას. თუ მუნიციპალიტეტში ჯამურად 5 ჰა ბაღი გაშენდება, დამატებით სახელმწიფო ბენეფიციარებს უსასყიდლოდ გადასცემს 20 ტ ტევადობის კონტეინერ- მაცივარს, სადაც ხდება შოკურად პროდუქტის გაყინვა.

❖ **ადმინისტრაციული სამსახური**

ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფისა და საქმიანობის ეფექტურობის ამაღლების მიზნით, ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ონის მუნიციპალიტეტის მერიაში განხორციელდა რეორგანიზაცია, რის შედეგადაც მიღებული იქნა დაწესებულების ახალი სტრუქტურა, კერძოდ ჩამოყალიბდა 2 ახალი პირველადი სტრუქტურული ერთეული: შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური და ზედამხედველობის სამსახური.

2018 წელს „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტისა და 34-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად შეიცვალა და დამტკიცდა ,,ონის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები“.

„პროფესიული საჯარო მოხელის შეფასების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 აპრილის N220 დადგენილების საფუძველზე, განისაზღვრა ონის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიულ საჯარო მოხელის შეფასების მეთოდის, დოკუმენტური მასალის შეფასებისა და გასაუბრების წესი.

2018 წლის გამვალობაში საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებ-გვერდის მეშვეობით (www.hr.gov.ge) გამოცახდდა 16 ვაკანტურ პოზიციაზე საჯარო კონკურსი, ყველა პოზიციაზე შერჩეული იქნა კანდიდატი. ჩაიშალა 1 კონკურსი.

გარდა ყველა ზემოთ აღნიშნული საქმიანობისა, ადამიანური რესურსების განყოფილებამ წლის განმავლობაში მოამზადა 385 მერის ბრძანება.

მერიის ოფიციალური ვებ-გვერდის www.oni.gov.ge და facebook გვერდის საშუალებით საზოგადოებას სისტემატურად მიეწოდებოდა მუდმივად განახლებადი ინფორმაცია მერიაში და მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესების შესახებ. ხორციელდებოდა მერიის სამსახურებისათვის საჭირო ინფორმაციის მოძიება და სელექცია.

ონის მუნიციპალიტეტში მიმდინარე სამუშაოების ამსახველი ინფორმაციის მოძიება, აღბეჭდა, მიმდინარე მოვლენებზე დაუყოვნებლივი რეაგირება. ონის მუნიციპალიტეტში გამართულ შეხვედრებზე დასწრება და ინფორმაციის გამჭვირვალობის მიზნით გაშუქება. გაზეთ "GUARDIAN.ge" რედაქციასთან თანამშრომლობა. გვერდის პოპულარიზაციის მიზნით სხვადასხვა და მრავალფეროვანი ინფორმაციის მოძიება ფოტო და ვიდეო მასალის სახით.

მიმდინარე წელს ამოქმედდა კანონი „ელექტრონული დოკუმენტისა და სანდო მომსახურების შესახებ“. ელექტრონული ხელმოწერა უკავშირდება ელექტრონულ დოკუმენტს და ელექტრონული

დოკუმენტის ხელმოსაწერად გამოიყენება. ელექტრონული შტამპი კი დაერთვის დოკუმენტს და ელექტრონული დოკუმენტის მთლიანობისა და წარმომავლობის სისწორის დამადასტურებელია.

მუნიციპალიტეტის მერიაში აღნიშნულ პერიოდში შემოსულია, როგორც სამოქალაქო, ასევე სამთავრობო უწყებებიდან - 9880 კორესპონდენცია, ძირითადად წერილები შემოსულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებით, ასევე მიწისძვრით დაზიანებულ სახლებზე, სოციალურ დახმარებებზე და სხვა. გამოცემულია სამართლებრივი აქტები: გასული ადმინისტრაციული ბრძანება -2593, რომელიც მთლიანად მიწის რეგისტრაციას ეხება და შიდა ადმინისტრაციული - 2627 აქედან: კადრების -385, მაღალმთიანობის სტატუსის მინიჭებაზე-147, უარი ეთქვა-9 მოქალაქეს, სტატუსი შეუწყდა -175 მოქალაქეს, მშენებლობის ნებართვაზე - 52.

მუნიციპალიტეტის მერიიდან გასულია - 6381 კორესპონდენცია როგორც მოქალაქეებზე, ისე სხვადასხვა ინსტანციებში.

MMS-სისტემაში მოქალაქეების მიერ სოციალურ დახმარებებზე შემოსულია- 265 განცხადება, ხოლო მშენებლობასთან დაკავშირებით შემოსულია- 72 განცხადება.

შემოსულია ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლების მოხსენებითი ბარათები სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, კერძოდ მიწის ნაკვეთების იდენტურობის, თვითნებურად ფლობის, ნაკვეთების მფლობელობის დ განკარგვის შესახებ. საცხოვრებელი ადგილის, ოჯახის შემადგენლობის, დანაშთი ქონების, საცხოვრებელი მისამართის, მეტსახელის დაზუსტების და ა.შ

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მიწის ნაკვეთის იდენრტურობის დადგენასთან დაკავშირებით უფლებამოსილ პირებად განისაზღვრნენ მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში, რამაც ხელი შეუწყო სწრაფად და ეფექტურად სამუშაო პროცესის წარმართვას. **მაღალმთიანობით** - ისარგებალა 155 მოქალაქემ, მათ შორის სტატუსის მინიჭების შესახებ შეივსო 45 განაცხადი, ხოლო სტატუსის შესახებ ცნობის გაცემის მსურველ მოქალაქეთა რაოდენობამ შეადგინა 100.

განვლილი პერიოდის მანძილზე განყოფილებაში შემოსულია 1544 კორესპოდენცია, აქედან 629 კორესპოდენცია შეეხება ცნობების გაცემას (საცხოვრებელი ადგილის, ოჯახის შემადგენლობის, დანაშთი ქონების, საცხოვრებელი მისამართის, მეტსახელის დაზუსტების და ა.შ.) ხოლო მიწის რეგისტრაციის შესახებ - 817, აქედან მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე (ქალაქი ონი და 64 სოფელი) განვლილი პერიოდის განმავლობაში მოხდა 487 მიწის ნაკვეთის ადგილზე დათვალიერება, შესაბამისი ოქმის შევსება, სისტემაში ატვირთვა, შესაბამისი ბრძანების გამოცემა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის ელექტრონულად გადაგზავნა, განხილვას არ საჭიროებდა (არასრული/არასწორი/კანონთან შეუსაბამო აღმოჩნდა) და უკან გადაეგზავნა საჯარო რეესტრს 96 მიწის ნაკვეთის დოკუმენტაცია, წარმოებაშია 234 განაცხადი. 15 ნოემბრიდან 25 აპრილის ჩათვლით 160 დღის განმავლობაში (დასვენების და შაბათ კვირის დღეების ჩათვლით) მომხდარია 487 ოქმის შედგენა - გაგზავნა, რაც დღეში საშუალოდ 4 ოქმის შედგენა-გაგზავნას გულისხმობს, რაც მინიმუმ კარგ შედეგად შეიძლება ჩაითვალოს.

გამარტივდა და მოქალაქეებისათვის მაქსიმალურად ხელმისაწვდომი გახდა მიწის რეგისტრაცია. ამასთან დაკავშირებით გაიზარდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შემოსული წერილების რიცხვი, რითაც ითხოვენ ინფორმაციის მიწოდებას სასოფლო-სამეურნეო

დანიშნულების მიწის გადასახადის გადამხდელთა სიიდან მიწის ნაკვეთებზე გადასახადის გადამხდელად აღრიცხვის შესახებ. ასევე გაიზარდა მიმართვიანობა მოქალაქეთა მხრიდან, რომლებიც ითხოვენ ცნობას მიწის ნაკვეთებზე გადასახადის გადამხდელად აღრიცხვის შესახებ.

იურიდიული განყოფილება მერის კანონისმიერი წარმომადგენელი სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოში მიმდინარე წელს ხუთ საქმეზე იყო, აღნიშნული საქმეებიდან ერთი დასრულდა მერიის სასარგებლოდ, ოთხზე კი დღემდე მიმდინარეობს სასამართლო პროცესი. იურიდიული განყოფილება აქტიურად არის ჩართული და ხშირად ინიციატორიც იყო საკრებულოზე მისაღები ნორმატიული და ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტების პროექტების. მოქალაქეთა განცხადებებზე პასუხის გაცემა და სხვადასხვა უწყებებში გასაგზავნი დოკუმენტაციის ვიზირება განყოფილების ყოველდღიური მუშაობის შემადგენელი ნაწილია. განყოფილების თანამშრომლები მერიაში სხვადასხვა საკითხის შესწავლისა და გადაწყვეტის მიზნით შექმნილ კომისიებში აქტიურად არიან ჩართული. მეწარმის მიერ შესრულებული სამუშაოების შესწავლა და დასკვნების წარდგენა ასევე ჩვენი სამუშაოს შემადგენელი ნაწილია. არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირების დაფუძნების, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელება ასევე განყოფილების კომპეტენციაა.

ონის მუნიციპალიტეტის მერიის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს მერიის, თანამდებობის პირებისა და სხვა საჯარო მოსამსახურეთა საქმიანობის საჯაროობა, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ღიაობა და გამჭვირვალობა, მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოქალაქეთა მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფა.